

619 /
1990/2




საგარეო
კავშირების
მდივნის
გამაგრილებელი

საგარეო № 4 1990



ხსოვნა

თბილისი, 25 თებერვალი. 1990 წელი.





დროშა

№ 4 აპრილი, (400), 1990

ჟურნალი გამოდის 1926 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიტერატურ-
ო-სამხატვრო ჟურნალი

ნომერები:

ოთარ ჭინჭაძე. ხსოვნა.
ვასილ გროსმანი. უმელოვარი წარ-
მავალია.
მანია ბერძენიშვილი. უფუხვებილი
სიმღერა.
ირინე ტალიაშვილი. მედროშე (მო-
თხრობა).
ნათელა გიორგოზიანი. ძალი კო-
ლონიანი?!
რეზ დავიდოვი. კომპოზიტორი ბა-
ლაკიშვილი: „მე ქართული ანბანიც კი
ვისწავლა...“
გიორგი კაპაშვილი. „ვით მებო-
ნო ველან ქაბაბა...“
ხსნა ტაქნიკურ პროგრესია (დია-
ლოგი).
გოგი მანისუკაძე. ტანტრაბაქი. (მო-
თხრობა).
გივი მუხისაშვილი. ხელმადლიანი
ხელოვანი.
დიტო წვეკავა. ცხენი — გურნალი.
ირინე კუკავა. „არ დაიჯეროთ რომ
ალბა ვარ...“
პანორამა
კოსმოსოდი

საქართველოს კავშირის გამომცემლობა

● „დროშა“, 1990 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ჭინჭაძე



სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერი-
შვილი, ვასილ გვებაძე, ნათელა გიორგოზი-
ანი, ოთარ დემეტრაშვილი, ვახტანგ ვსვანჯია,
ჯემალ მახარიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-
რედაქტორი), თენგიზ სახსონაძე.

ხსოვნა

ამ სტრიქონებს მე 1989 წლის 9 აპრილის „სისხლიანი კვირის“ გამთენიისას დაღუპულთა ხსოვნას ვუძღვნი. ჩვენს თავზე დატრიალებული ტრაგედიიდან განვლილი ერთი წლის თავზე, ეს წერილი ჟურნალისტურ „პანაშვიდს“ უხდის თავისუფლებისმოყვარე და ამიტომ უდანაშაულო მსხვერპლს, რომელიც უმეცარ ხელმძღვანელობას და უგუნურ დამორგუნველ ძალას შეეწირა.

ქართველი კაცისათვის გლოვის ერთი წელი მრავლისმთქმელია.

მძიმე და მტკივნეული გზით ვიარეთ ჩვენ ამ ერთი წლის სავალ გზაზე.

თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, რაც იმ შემზარავ ღამეს მოხდა და მაინც...

ერთი კომისია იმის გამოსაძიებლად, რაც მაშინ მოხდა.

მეორე.

მესამე.

არაო, საქმე სხვაგვარადააო, ცდილობდა დარწმუნებას მთავარი სამხედრო პროკურატურა.

აბა, მაშ, რა იყო და როგორ?

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილის, მთავარი სამხედრო პროკურორის ა. ფ. კატუსევის გამოსვლიდან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე:

— ამხანაგებო, 21 მოქალაქეთაგან, რომლებმაც განაცხადეს, რომ ტრავმირებული არიან მესანგრის ხელბარებით, ექსპერტებმა ობიექტურად დაუდგინეს დაზიანება შვიდ კაცს. სხეულის მძიმე დაზიანება არავის არ ჰქონია მიყენებული, სასიკვდილო შედეგი არ არის.

— გვაქვს ჩვენებები, რომ ზოგიერთ ქალს ძალით სვამდნენ ასფალტზე, რათა ცოცხალი ბარიერი ჰქონოდათ. შემდეგ მათ ედებოდნენ, ფეხს ადგამდნენ, როდესაც ზედახორა წარმოიშვა.

— ამხანაგებო, 18 ადამიანის, მათ შორის, ქალების სიკვდილის მიზეზი იყო მხოლოდ ზედახორა.

შევარცხვინე ასეთი მთავარი სამხედრო პროკურორი და მისი გამოძიებული საქმეც.

მაგრამ, სამართალმა პური მაინც უნდა ჰქამოს.

1989 წლის 9 აპრილს ქალაქ თბილისში მომხდარი ამბების გამოსაძიებლად სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის მიერ შექმნილი კომისიის თავმჯდომარის ა. ა. სობჩაკის მოხსენებიდან:

— კომისია ხაზს უსვამს, რომ არ არსებობს ფაქტები, რომლებიც ადასტურებდნენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე გენერალ როდიონოვის მიერ გაკეთებულ განცხადებას, თითქოს 9 აპრილისათვის ხელში ჩაგდების რეალური საფრთხე ექმნებოდა რესპუბლიკის საარსებო მნიშვნელობის ობიექტებს.

— უსანქციო მიტინგის აღკვეთის პროცესში დაშვებულ იქნა მრავალი დარღვევა, დაწყებული თავდაცვის მინისტრის ბრძანების დარღვევით, რომელიც კრძალავს სამხედრო მოსამსახურეთა გამოყენებას მიტინგის გასარეკად, და უშვებს მხოლოდ მათს გამოყენებას ობიექტების დასაცავად და დამთავრებული არსებული დებულებების, წესების, ინსტრუქციების უამრავი დარღვევით ამ მიტინგის აღკვეთის პროცესში.

— იმის შემდეგ, რაც მოხდა, სარღობის წარმომადგენლებმა, მიტინგის აღკვეთის მონაწილე ქვეგანყოფილების მეთაურებმა მიჩქმალეს როგორც მესანგრეთა ხელბარების, ისე სპეციალური საშუალებების, ქამიური ნივთიერებების გამოყენება.

— კომისია საჭიროდ ცნობს სისხლის სამართლის პასუხისმგებაში გადაეცენ კონკრეტული პირნი, ვისაც ბრალი მიუძღვით

ადამიანთა დაღუპვისა და მათთვის სხეულის მძიმე დაზიანების მიყენებაში.

და სამართალმა პური ჰქამა.

1989 წელი. 24 დეკემბერი. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დადგენილება 1989 წლის 9 აპრილს ქალაქ თბილისში მომხდარი ამბების გამოსაძიებლად სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის მიერ შექმნილი კომისიის მოხსენების გამო:

— დაგმობილ იქნეს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს დემონსტრაციის მონაწილეთა წინააღმდეგ ძალადობის გამოყენება.

იმიტომ რომ უდანაშაულო ადამიანების დაღუპვასთან დაკავშირებულ ტრაგედიაში აისახა რესპუბლიკის ყოფილი ხელმძღვანელობის უუნარობა, საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სერიოზული გამწვავების პირობებში განემუხტა შექმნილი სიტუაცია პოლიტიკური საშუალებებით, აგრეთვე ის სერიოზული ხარვეზები და შეცდომები, რომლებიც დაშვებული იყო საკავშირო და რესპუბლიკური ხელმძღვანელობის ყველა დონეზე მთავრობის სახლის მოედანზე უსანქციო მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და რეალიზაციის დროს.

ეს არის სსრ კავშირის უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს საბოლოო დასკვნა და პოლიტიკური განაჩენიც.

9 აპრილის იმ დაწყებული დღიდან უკვე ერთი წელი გავიდა. დრო მიდის.

დღე დღეს მისდევს, თვე თვეს და წელიწადი წელიწადს.

ასეა ეს.

ავადმოსაგონარი ის „სისხლიანი კვირა“ კი, ჩემს წარმოდგენაში მაინც, ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის ობიექტურად ახალი ეტაპის დასაწყისს უკავშირდება.

ახლა უკვე, ჩემთვის ცხადზე ცხადი ხდება, რომ ეროვნულ-თვითშეგნების მძლავრი აღზევების დინამიური პროცესი, რომელსაც სათავე ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტულმა მოძრაობამ დაუდო, თანდათან ძლიერდება, მოწინააღმდეგეები შედის და სანუკვარი მიზნისაკენ მიედინება. ამის წინამძღვრები დღესაც აშკარად ჩანს საიმედო მომავლის ფართე მასშტაბის ფონზე და უთუოდ ასეც იქნება, თუ თითონ ჩვენ, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა წარსულშიც, თავადვე არ შევადგურებთ მისი წინსვლა და სასურველი მიმართულებით განვითარება.

ეკონომიკური დამოუკიდებლობის ეროვნული მოდელის შექმნასა და მის რეალიზებასთან ერთად, ამ ძნელად სავალ გზაზე ჩვენ შიდა ეროვნებათაშორისი ურთიერთობის საბოლოოდ გარკვევისა და მოწესრიგების საკმაოდ რთული, მაგრამ მაინც კეთილად და სავსებით რეალურად დასაგვირგვინებელი პრობლემები გვაქვს გადასაწყვეტი. ეს კი ყოველდღიურ დაძაბულ და მოთმინებით სრომას მოითხოვს. ოფლისმღვრელ შრომას. ისიც სათქმელია, რომ რეალური საქმე რეალურსავე ხედვას, მიდგომას და მოქმედებას საჭიროებს. ეროვნული, კერძოდ და განსაკუთრებით, მოქმედებას ყოველგვარი ხმაურის, ამბიციურობისა და მანიფესტაციების გარეშე. რა მიმზიდველი და მანუგეშებელი მოწოდებებიც არ უნდა ახლდეთ მათ.

ამაზე გვმართებს ახლა და ყოველგვარი დაყოვნების გარეშე დაფიქრება. რეალური გზების მიგნება და ამ გზით გაბედული, ვაქეცურ ნაბიჯებით სიარული. ნურც სხვისი იმედი გვექნება და ნურც იმას შევეხვეწებით ვისმეს. ვინდა თუ არა გვითხარი რომ მომწონხარ და დიდადაც გაფასებო. თითონ ჩვენ ვიყოთ თვით-



19316

კრიტიკული საკუთარი თავისადმი, დაძლიოთ ის, რაც ხელს გვიშლის რეალური მიზნის გამოკვეთაში, ამ მიზნის მისაღწევ კონკრეტულ მისასვლელების მოძებნაში და ეროვნული ძალების შეკავშირებაში. დაქსაქსულობისა და განცალკევებულობის ვითარებაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ბევრს დაკარგავს და შესაძლოა კრიზისულ მდგომარეობაშიც აღმოჩნდეს.

ეს არ უნდა დავუშვათ.

ამის უფლება არც ერთ ქართველს არა გვაქვს.

არც იმის უფლება გვაქვს, რომ გულგრილნი დავრჩეთ სწავლისადმი გულაცრუებული და შრომით დაუინტერესებელი ახალგაზრდებისადმი, რომელთა შორის საგრძნობლად იმატა ბოროტებამ, დაუნდობლობამ, აგრესიულობამ. აუნაზღაურებელია თითოეული ქართველის სიცოცხლე ქართველი ერისათვის არა მარტო იმის გამო, რომ ჩვენ მცირერიცხოვანი ვართ. ამის გამოც, მაგრამ იმიტომაც, რომ კაცთმოყვარე ქართველი დღეს თავისუფალი საქართველოს მშენებელია. ჩემის ღრმა რწმენით, ეროვნული მოძრაობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ადამიანის უფლებების დასაცავად ენერგიული ლაშქრობა, ხოლო დვითით მონიჭებული სიცოცხლის ხელყოფა უმძიმესი დანაშაულია ერისა და ქვეყნის წინაშე. „სხვისი“ მოძალადე ხელით 9 აპრილის „სისხლიან კვირას“ დაღუპულთა ნათელმა ხსოვნამ შთაგვაგონოს უნდა თითოეულს, რომ „ჩვენი“ ხელით ჩადენილი ბოროტება იმ „სხვისი“ ხელით გამოყენებულ მესანგრეთა ხელბარებზე უფრო დიდია და მიუტევებელი.

ეს არის ჩვენი საფიქრალი და სათქმელიც უნდა ითქვას.

თავისუფალი საქართველო ელის განსწავლულ, შრომისმოყვარე, ზნეობრივად სრულყოფილ, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღ თაობას.



ჩვენ ყველას გვმართებს ვიღვაწოთ, რათა მომავლის ეს იმედი სავსებით გავუმართლოთ დედა-სამშობლოს. ამის გარეშე ფუჭია და ამო ჩვენი ნებისმიერი, თუნდაც ნათელი წადილი, მისწრაფება, ძალისხმევა.

ამას გვასწავლის, შთაგვაგონებს და აქეთკენ მოგვიწოდებს 1989 წლის „სისხლიანი კვირა“.


სამარადისო ხსოვნა და არდავიწყება, ვინც საქართველოს მომავალს შეეწირა.

ამინ!

ოთარ ჰინძლაძე

დროშა 3

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
გ. გლოთიძე



გლახების განთავისუფლების შემდეგ, რევოლუციის ლიდერები, ინტელიგენცია, სტუდენტობა მხურვალედ, თავგამოდებით იბრძოდნენ რუსეთში უცხო ადამიანური ღირსებისათვის, პროგრესისათვის მონობის გარეშე. ეს ახალი კანონი მთლიანად უცხო იყო რუსეთის წარსულისათვის და არავინ იცოდა, როგორი განდებოდა რუსეთი, თუ ის უარს იტყვოდა მისი განვითარების ათასწლიან კავშირზე მონობასთან, როგორი განდებოდა რუსული ხასიათი?

1917 წლის თებერვალში რუსეთის წინაშე გაიხსნა თავისუფლების გზა. რუსეთმა აირჩია ლენინი.

უდიდესი იყო რუსულ ცხოვრებაში ლენინის მიერ მომხდარი გარდატეხა. ლენინმა დაამსხვრია მეამბულური წყობა, გაანადგურა ფაბრიკანტები, ვაჭრები.

და მაინც, რუსული ისტორიის ბედისწერამ, როგორ უცხოდ და უცნაურადაც არ უნდა ქედრდეს ეს, ლენინის მიაკუთვნა შეენარჩუნებინა რუსეთისათვის წყევლა: მისი განვითარების კავშირი გაუნთავისუფლებელ თავისუფლებასთან, ყმობასთან.

მხოლოდ ისინი, ვინც თავს ესხმის ძველი რუსეთის საფუძველთა საფუძველს — მის მონურ სულს, არიან რევოლუციონერები.

და ისე აეწყო, რევოლუციურმა აკვიტებულობამ, ფანატიკურმა რწმენამ მარქსიზმის ჭეშმარიტებისა, სხვაგვარად მოაზროვნეთა სრულმა აუტანლობამ, მიიყვანა იქამდე, რომ ლენინმა ხელი შეუწყო კოლოსალურ განვითარებას იმ რუსეთისა, რომელსაც ვერ იტანდა თავისი ფანატიკური სულის მთელი სიძლიერით.

მართლაც ტრაგიკულია, რომ ადამიანმა, რომელიც ასე გულწრფელად ეწაფებოდა ტოლსტოის ნაწარმოებებისა და ბეთპოვენის მუსიკას, ხელი შეუწყო მუშებისა და გლეხების ახალ დამონებას, რუსული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა — ალექსი ტოლსტოის, ქიმიკო სემიონოვის, მუსიკოს შოსტაკოვიჩის მსგავსთა, ლაქიებად ქცევას.

კამათი, წამოწყებული რუსული თავისუფლების მომხრეთა მიერ, ბოლოს და ბოლოს გადაიჭრა — რუსული მონობა ამჯერადაც დაუმარცხებელი აღმოჩნდა. ლენინის გამარჯვება მისივე დამარცხებად იქცა.

მაგრამ ლენინის ტრაგედია იყო არა მარტო რუსეთის ტრაგედია, ის მსოფლიო ტრაგედია გახდა.

ფიქრობდა კი ის იმ მომენტში, როცა რევოლუცია მოახდინა, რომ სოციალისტურ ევროპას გაჰყვებოდა არა რუსეთი, არამედ მდნობარე რუსული მონობა ვაცდებოდა რუსეთის საზღვრებს და იქცეოდა კაცობრიობის ახალი გზების მანათობელ ჩირაღდნად.

რუსეთი უკვე აღარ იწოვდა დასავლეთის თავისუფალ სულს: დასავლეთი მონუსხული თვლებით შეჰყურებდა ხელფეხშეკრული თავისუფლების გზით მიმავალ განვითარების რუსულ სურათს.

მსოფლიომ დაინახა ამ გზის მომხიბლავი უბრალოება. მსოფლიომ გაიგო არათავისუფლებლობაზე აგებული სახალხო სახელმწიფოს ძალა.

თითქოს აღსრულდა ის, რასაც ქადაგებდნენ რუსეთის წინასწარმეტყველნი 100 და 150 წლის წინ.

მაგრამ როგორ საოცრად და საშინლად აღსრულდა:

სოციალიზმის ლენინურმა შერწყმამ ხელფეხშეკრულ თავისუფლებასთან მსოფ-

ლიო გააოცა უფრო მეტად, ვიდრე ატომური ენერჯის აღმოჩენამ.

ნაციონალური რევოლუციის ევროპელმა მოციქულებმა აღმოსავლეთიდან დაინახეს ალი. იტალიელებმა, შემდეგ გერმანელებმა, თავისებურად განავითარეს ნაციონალური სოციალიზმის იდეა.

ალი კი კიდევ უფრო ღვივდებოდა — ის მოედო აზიას, აფრიკას.

ერები და სახელმწიფოები შეიძლება განვითარდეს თავისუფლების საწინააღმდეგოდ, ძალის ქვეშ!

ეს არ იყო ჯანსაღ ადამიანთა საზრდო, ეს იყო ხელმოცარულთა, ავადმყოფთა და უძლურთა, ჩამორჩენილთა და დამარცხებულთა ნარკოტიკული წამალი.

განვითარების ათასწლიანი რუსული კანონი, ლენინის ნებისყოფის, გატაცებისა და გენიის წყალობით, მსოფლიო კანონად იქცა.

ასეთი იყო ისტორიის ბედისწერა.

ლენინური მოუთმენლობა, შემტვეიანობა, ლენინური ურყევობა სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ, თავისუფლების სიძულვილი, ლენინური რწმენის ფანატიზმი, სიმკაცრე მტრებთან, ყველაფერი ის, რამაც გამარჯვება მოუტანა ლენინის საქმეს, შობილია და წრთობილი რუსული მონური ცხოვრების ათასწლიან სიღრმეებში, რუსულ ხელფეხშეკრულ თავისუფლებაში. ამიტომაც ლენინის გამარჯვებამ სამსახური გაუწია ამგვარ თავისუფლებას. გვერდით კი, იქვე, საფარის გარეშე, შეუმჩნევლად ცოცხლობდა და აგრძელებდა მილიონობით ადამიანთა მონუსხვას სათნო, მორიდებული, მშრომელი რუსი ინტელიგენტის ლენინური შტრიხები.

მერედა, რა! ისევ ძველებურად ამოუცნობია რუსული სული? არა, გამოცანა არ არის.

იყო კი ის? რა გამოცანაა მონობაში?

რაო, ეს განვითარების ჭეშმარიტად რუსული და მხოლოდ რუსული კანონია? ნუთუ რუსულ სულს, და მხოლოდ მას, უწყურია განვითარდეს არა თავისუფლების, არამედ მონობის გზით? ნამდვილად ხომ არ შეიმჩნევა აქ რუსული სულის ბედისწერა?

არა, რა თქმა უნდა, არა.

ეს კანონი განპირობებულია იმ პარამეტრებით (ისინი კი ათობით და შეიძლება ასობითაცაა), რომელშიც გაიარა რუსეთის ისტორიამ.

აქ სულში არ არის საქმე. დაე ამ პარამეტრებში, ტყეებსა და სტეპებში, ჰაობებსა და სივრცეებში, ევროპასა და აზიას შორის საბრძოლო მოედანზე, ტრაგიკულ, რუსულ სიბუმბერაზეში ათასი წლის წინათ გაზრდილიყვნენ ფრანგები, გერმანელები, იტალიელები, ინგლისელები — მათი ისტორიის კანონები ისეთივე იქნებოდა, როგორც რუსული მოძრაობის კანონი. დედამიწის ყველა კონტინენტზე მრავლადაა ხალხი, რომელმაც ზოგმა შორიდან, ბუნდოვნად, ზოგმა უფრო ახლოს და ნათლად, მთელი სიგრძე-სიგანით შეიცნო რუსული გზის სიმწარე.

დროა გაიგონ რუსეთის წინასწარმეტყველებმა, რომ მხოლოდ ათასწლიანმა მონობამ შექმნა რუსული სულის მისტიკა.

და რუსული სულის ქრისტიანული უწყინარობით, მისი ბიზანტიური ასკეტური სიწმინდით ცოცხლობს უნებური აღიარება რუსული მონობის შეუწყველობისა. ამ ქრისტიანული თვინიერების, ბიზანტიური ასკეტური სიწმინდის სათავე იგივეა, როგორც სათავე ლენინის გატაცების, მოუ-

თმენლობის, ფანატიკური რწმენისა — ის ათასწლიან ყმობაშია.

და ამიტომაც ასე ტრაგიკულად შეცდნენ რუსეთის წინასწარმეტყველებმა — სადაც არის ის, „რუსული სული, — საყოველთაო და ყველაფრის გამაერთიანებელი“, რომელსაც უწინასწარმეტყველა დოსტოევსკიმ „უდიდესი საერთო საბოლოო პარმონიის დამაგვირგვინებელი სიტყვის წარმოთქმა, ყველა ქრისტიანული ტომის ძმური შეთანხმება?“

ღმერთო, რაშია ეს საყოველთაო და ყველაფრის გამაერთიანებელი სული? ოსვენციმისა და ციმბირის ტაიგის ირგვლივ შემოვლებულ ეკლიანი მავთულის ღრჭიალში ხომ არ ფიქრობდნენ რუსეთის წინასწარმეტყველნი დაენახათ აღსრულება თავიანთი წინასწარმეტყველებისა რუსული სულის მომავალ საყოველთაო დიდებაზე.

ლენინი ბევრ რამეში ეწინააღმდეგება რუსეთის წინასწარმეტყველთ. ის უსასრულოდ შორსაა უწყინარობის, ბიზანტიური ქრისტიანული სიწმინდისა და სახარების კანონთა იდეებისაგან. მაგრამ გასაოცარია და განსაცვიფრებელი — ის მაინც მათთანაა. ის, მიდიოდა რა თავისი საეკუთარი, ლენინური გზით, არ უცდა დაეკუ რუსეთი ათასწლიანი მონობის უსასრულო რყევისაგან, მან ისევე, როგორც მათ, აღიარა რუსული მონობის ურყევობა. ის, როგორც ისინი, შობილია ჩვენსავით თავისუფლების გარეშე.

რუსული სულის ბატონყმური ბუნება ცოცხლობს რუსულ სარწმუნოებასა და რუსულ ურწმუნოებაში, რუსულ უწყინარ კაცთმოყვარეობაში. რუსულ მოუქანცველობაში, ზეთაღლითობასა და გაბედულებაში, რუსულ ხელმოკერილობასა და მიწმანობაში, რუსულ მორჩილ შრომისმოყვარეობაში და რუსულ ასკეტურ სიწმინდეში, მტერთათვის მრისხანე რუსი ჯარისკაცის გამბედაობაში, ადამიანური ღირსების გამომრიცხველ რუსულ ხასიათში, რუსი შფოთისთავეების თავგანწირულ ამბოხში, სექტანტების გახელებაში. ბატონყმური სულია ლენინის რევოლუციონერი, დასავლეთის რევოლუციურ მოძვრებით ლენინის მძაფრ გატაცებაშიც, ლენინის აკვიტებულობაშიც, ლენინისეულ ძალმომრეობაში, ლენინური სახელმწიფოს გამარჯვებაშიც.

ყველგან, მსოფლიოში, სადაც სიცოცხლე თავისუფლების გარეშეა, იბადება მსგავსი სული.

საღლაა რუსეთის იმედი, თუკი მისმა დიდმა წინასწარმეტყველებმაც ვერ გაარჩიეს თავისუფლება მონობისაგან?

საღლაა იმედი, თუკი რუსი გენოსები მისი სულის თვინიერ და ნათელ სილამაზეს ყურმოკრილ ყმობაში ხელავენ?

საღლაა იმედი რუსეთისა, თუკი მისმა უდიდესმა გარდამქმნელმა — ლენინმა, კი არ დაანგრია, არამედ კიდევ უფრო გაამაგრა კავშირი რუსულ განვითარებასა და მონობას შორის?

აღარაა დრო რუსული თავისუფალი, ადამიანური სულის დადგომისა? ანკი ოდესმე დადგება ეს დრო?

არც არის და შეიძლება არც არასოდეს დადგეს.

ლენინი მოკვდა, მაგრამ არ მომკვდარა ლენინიზმი. ლენინის მიერ მოპოვებული ძალაუფლება არ გაუშვია ხელიდან პარტიას. ლენინის ამხანაგები, თანაშემწეები.

(დასასრული იხილეთ მ-12 გვერდზე)



ველად გადაწყვიტეს ერთად ემღერათ მიტინგზე და მღერთან კიდევ იმ დღიდან. მათ სიმღერით გაათენეს ის ღამე. 8 აპრილს დილიდან მღეროდნენ, მაგრამ ვერ მოასწრეს ყველას სურვილის დაკმაყოფილება. ვერ შეასრულეს ქართველი დედების თხოვნა, რომელთაც „ჩემო კარგო ქვეყანას“ მოსმენა სურდათ. მიუხედავად მოახლოებული საფრთხისა, მათ ერთხელაც არ უფიქრიათ იქაურობის მიტოვება და ბოლომდე დარჩნენ.

— როდესაც ილია მეორემ ლოცვა აღასრულა, — იგონებს დონარა ცხადიაშვილი, — საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. მე ავიღე მიკროფონი და ხალხის თხოვნით იმ ღამეს უკვე მერამდენად ნამღერი სიმღერა „დაუკარით“ წამოვიწყე. ამ დროს ტანკებიც ავუგუნდნენ. ისე გამოვიდა, თითქოს

ბულ ავტობუსებში აგვიყვანეს და ვცდილობდით იქაურობის დატოვებას. დღემდე კი უნივერსიტეტთან მივედით...
— ზაირა გელაშვილიც გვიამბობს...
— არეულობის დროს ხალხის მასას გამოვყვე და რუსთაველის თეატრს შევაფარეთ თავი. როდესაც იქიდან გამოგვიყვანეს და ის იყო, სამშვიდობოს უნდა გავსულიყავით, უცებ გაუშვეს მომწამლავი გაზი. საშინელი სუნი დატრიალდა და იძულებული გავხდით ისევ თეატრში დავბრუნებულიყავით.

იმ ღამეს ყველას ოჯახის წევრებივით უყვარდა ერთმანეთი. მათ არაფერი იცოდნენ დალუბულებზე. მსხვერპლის შესახებ დილით, უნივერსიტეტთან გაიგეს.

გადიოდა დრო. ხალხის გრძობა-გონება კვლავ 9 აპრილის ტყვეობაში იყო. ეწყო-

უეცუვეზილი სიგლერა

ქართველი ხალხის გონებიდან არასოდეს ამოიშლება 9 აპრილის ღამე.

იგი არ ამოიშლება იმ უსინათლოების მესხიერებიდანაც, რომლებიც სიმღერით შეეგებნენ ტანკებს და იქ დატრიალებული ტრაგედია ღრმა იარად დააჩნდა მათ ფაქიზ სულს. ისინი ვერასოდეს დაივიწყებენ იქ გაგონილ ხელბარების ჩხრილს, გაზის ბალონების აფეთქების ხმას, სისხლისა და საწამლავის შემზარავ სუნს, ხალხის შეძახილებს, მოთქმას, ჯარისკაცთა ჩექმების ბრახუნს...

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მუსიკალურ-საესტრადო გაერთიანების კვარტეტის წევრები არიან: ზაირა გელაშვილი, თინათინ ბირკაძე, ლელა ვეფხვაძე და სოლისტი დონარა ცხადიაშვილი. ისინი უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მოვიდნენ ამ გაერთიანებაში.

ზაირა გელაშვილი 49 წლისაა. სკოლა-ინტერნატის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების თბილისის სასწავლო-საწარმოო წამოწყება ფონიჭალაში. 1973 წლიდან კი სიმღერის სიყვარულმა მოიყვანა იგი ამ გაერთიანებაში, სადაც დღემდე მუშაობს. ჰყავს ერთი ქალიშვილი და ორი შვილიშვილი.

თინათინ ბირკაძე 32 წლისაა. სკოლა-ინტერნატის პარალელურად სწავლობდა მუსიკალურ ათწლედში. შემდეგ სწავლა გააგრძელა სახელმწიფო კონსერვატორიაში. დამთავრებული აქვს აგრეთვე უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. მუშაობს უსინათლო ბავშვთა სკოლაში სიმღერის მასწავლებლად. არის ორი ვაჟი-შვილის დედა.

ყველაზე ახალგაზრდა, **ლელა ვეფხვაძე** 28 წლისაა. სკოლა-ინტერნატის დამთავრების შემდეგ მოვიდა ამ გაერთიანებაში. ჰყავს ერთი ქალიშვილი.

სოლისტი **დონარა ცხადიაშვილი** 30 წლისაა. სკოლა-ინტერნატის დამთავრების შემდეგ, 1976 წლიდან მუშაობს ამ გაერთიანებაში. არის ერთი ვაჟის დედა.

მართალია, დიდი ხანია მეგობრობენ და თანამშრომლობენ, მაგრამ სიმღერისა და ერის სიყვარულმა ისინი შემოქმედებითად სწორედ აპრილის მძიმე დღეებმა დააკავშირა ერთმანეთს. მათ არც ერთი დემონსტრაცია არ გაუტდენიათ. 7 აპრილს კი პირ-



როცა ტანკები შემოვიდნენ მოედანზე, სპეციალურად დაივიწყე სიმღერა. ხალხი მთხოვდა რომ არ გავჩერებულიყავი. იმ ღამეს იმდენი ვიმღერე და ისე ვიყავი დაღლილი, რომ მე თვითონ გამიკვირდა, თუ რა ძალით ამამღერა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო სტროფზე მიკროფონი გამოირთო, მე მაინც გავაგრძელე სიმღერა. შემდეგ კი დაიწყო საშინელება. ისმოდა აფორიაქებული ხალხის მოთქმა, ჯარისკაცთა ჩქარი და ძლიერი ნაბიჯები. მერე რაღაცა ააფეთქეს და საშინელი სუნი დატრიალდა. მე ცუდად გავხდი და ეჭიმებმა გამომიყვანეს. ჯარისკაცები სასწრაფო მანქანიდანაც ყრიდნენ ხალხს...

იმ ღამის თავგადასავალი გვიამბეს თინათინ ბირკაძემ და ლელა ვეფხვაძემაც.

— არეულობის დროს ჩვენც დავკარგეთ ერთმანეთი, — ამბობს თინათინი, — ხალხის მასას მიყვებოდი, ორჯერ დავეცი. ვცდილობდი ფანდური არ გამეტება. „ვაიმე, ფანდური-მეთქი“, ვიძახოდი ხოლმე წაქცეული და გულში ვიკრავდი მას. ხალხი მაყენებდა ფეხზე და გასვლაში მეხმარებოდა. ამ დროს მე და ლელამ შემთხვევით ვიპოვეთ ერთმანეთი. მიწისქვეშა გადასასვლელს შევაფარეთ თავი. უცებ ვიღაცამ დაიძახა: ჯარისკაცები მოდიან, გაიქციეთო! შემდეგ მახლობელ ქუჩაზე გაჩერე-

ბოდა ტრაგიკული დღისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო საღამოები, სადაც მონაწილეობდა უსინათლოთა კვარტეტიც, რომელსაც „ბრძოლის ველზე“ სიმღერა დამთავრებელი დარჩა.

ფილარმონიაში გამართულ 9 აპრილისადმი მიძღვნილ საღამოზე დარბაზში უამრავი სანთელი ციმციმებდა. სცენაზე კი კითხულობდნენ ლექსებს, აჩვენებდნენ ვიდეომასალებს, მღეროდნენ.

ყველაზე ამაღელვებელი კი სცენაზე უსინათლოების გამოჩენა იყო. კვლავ ისმოდა ნაცნობი ჰანგები. მათი სიმღერის დროს ეკრანზე აჩვენებდნენ ტრაგიკული ღამის ვიდეოფრაგმენტებს. სანთლების ციმციმით მკრთალად განათებულ ქალისა თუ კაცის, ბავშვისა თუ მოხუცის სახეები ცრემლით იყო დანაშული: ხალხი ტიროდა, ოხრავდა, დარბაზი უსმენდა დონარას სიმღერას და საზარელი მოგონების ქრუანტელი უვლიდა ყველას.

ვიდეოფირი, სიმღერა, ლექსები, წერილები... მეტად ამაღელვებელი საღამო იყო. — სანთლებით, ცრემლებით, ემოციებით, მწარე მოგონებებითა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის სურვილით გაულენთილი.

ზაირა გელაშვილი

მოთხრობა

მედროვე რომ მოვიდა, შუალაშე გადასული იყო. კიბის კუთხეში მიუყუდულ, მობუზულ ნატას კისერი გვერდზე გადაედო, ხელები სახელოებში დაეშალა და უკანასკნელ დღეზე ფიქრად და. ორი ტანკი მის ზურგს უკან, გაბმული ბაწრის იქით იდგა და სამუზეუმო ექსპონატით გაქვავებულიყვნენ. ნატამ ვერ მოიგონა, როდის დააყენეს ისინი ეზოში. წინა დღეს, აუზის გვერდით ტელევიზიის უკანა შესასვლელს დარაჯობდნენ. მერე კი უცებ აღმოჩნდნენ ცენტრალურ შესასვლელთან. ნაცნობი, მორიგე მილიციელები უჩინაბინებოვით გაქრნენ და მათი ადგილები ჩაჩქანაინა, ვიწროთვალეებიანმა ჯარისკაცებმა დაიკავეს.

ახლა მთელ შენობაში სამხედროები მბრძანებლობდნენ. პირქუში სახეებით დახეტებოდნენ ღერეფანში, სტუდენტებში, სააპარატოებში და გაყინული, ცივი სახით აშტერდებოდნენ ტელევიზიის თანამშრომლებს, თითქოს რაღაცას ეძებდნენ, პოულობდნენ და ვერც პოულობდნენ. ირგვლივ დაძაბული სიჩუმე და სიურუე იდგა.

თავდაპირველად მათი დანახვა არავის აზინებდა, მაგრამ მერე, ტუალეტის კარებთანავე გუშავი რომ დააყენეს, ნატას თავზარი დაეცა. მათი გაქვავებული უმეტველო თვლები რაღაც შეშარავი, ავისმომასწავებელი საიდუმლოებით დუმდნენ. ეს საიდუმლო ამოკითხა ტუალეტის კარებთან მორიგე ჯარისკაცის სახეზეც. სრულიად ახალგაზრდა იყო, ოცი წლისაც არ იქნებოდა, მაგრამ უტყუო სისასტიკისა და მუქარის ნიშანი აჩნდა მაგრად მოკუმულ ტუჩებზე.

იმისათვის, რომ ჯარისკაცის მიმართ უსიამოვნო განწყობილება დაეთრგუნა, ნატამ მორიდებითაჲ კი გაიღიმა, შესვლის ნებართვაჲ ითხოვა, მაგრამ გუშავმა ფეხები გაჩაჩხა და კარს წინ აეყუდა. ისეთი მრავლისმეტყველი, ისეთი შემადრწუნებელი შესტებით იყო აღსავსე მისი მოძრაობა, რომ შეცბუნებულმა ნატამ დანახვის ნიშნად ტუპეხავით ხელები ზევით ასწია და კეფაზე დაილაგა. მერე ფეხსკრფით, ნაბიჯ-ნაბიჯ გაემართა გასასვლელისაკენ, კიბეზე რომ ჩადიოდა, გულმა არ მოუთმინა და მაინც მოხედა. გუშავი ჩვეულ პოზაში, კვლავ გალაჭული იდგა და სახეზე დამცინავი ღიმილი დასათამაშებდა.

აღშფოთებულ ნატას ტირილი აუტუდა. უცებ იგრნო, როგორი უმელო და უძლური იყო, უიარაღო ადამიანი ამ გაქვავებული შეკავშნული ძალის წინაშე. მარტო ერთი კაცი კი

არა, მთელი მისი სამშობლო, მთელი საქართველო, რომელსაც თავდაცვისა და ბრძოლის არავითარი საშუალება არ გააჩნდა, ახლა განწირულივით გარიყული ჩანდა. საერო სამართალიც თითქოს ამ შუბლგაყინული, მხოლოდ მორჩილებისა და ბრძანებისადმი შემგუებელ თემიდას მხარეზე იხრებოდა. არაფრად ენალვებოდა არც ქართული მიწის, არც ქართველი კაცის ბედ-იბბალო... არც განსჯა, არც განწყობვა, არც შეწყალება! არადა, საქართველოს თავისუფლებას მხოლოდ ლოზუნგი და გაუმარჯოს ძახილი ვეღარ გამოკვებავდა, არმია, რომელიც ჭერ კიდევ გუშინ თავისუფლების მოსარჩელედ ითვლებოდა, დღეს ხალხის თვალწინ ავტომატს ათამაშებდა და დანის სროლაში ვარჯიშობდა.

ფანჯრის მინაზე შუბლმთხრდობილი ნატა ხედავდა ფეხბურთის მოედანზე ჩამწკრივებულ, სავტრთელი ვარჯიშობისათვის მომზადებულ ჯარისკაცებს და მათ ხელში ჩაბლუჭულ ავტომატებს. მოედნის აქეთა მხარეს, მისი საყვარელი ვერცხლისფერი ნაძვების ძირას, მოძრავი სამზარეულოს ღუმელში, მორიგე მზარეული დამტვრეული ლიმონათის ყუთის ფიცრებს ტენიდა. მხრჩოლავი კვამლი ბოლქვებად მიიწვანებოდა ნაძვის ტოტებში. უყურებდა მთელ ამ სანახაობას ნატა და გული უკვებოდა. ვერაფრით ვერ დაეჭვებინა, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეში ხდებოდა. გაკვირებისა და აღშფოთებისაგან ცრემლიც კი გაუშრა.

მაინც ვერ გაეგო, რისთვის იყო საჭირო ჯარის გამოძახება. ვის იცავენ, ვისგან, რისგან? — საკუთარ თავს ეკითხებოდა ქალი. ნუთუ იმ გრძნობას აყოლილ, სამშობლოს სიყვარულით გულგამთბარი და აყიყინებული ახალგაზრდებისაგან, ახლა ქუჩაში რომ სხედან და თავს იგვემავენ სიცივითა და შიმშილით. ნუთუ მართლა ეშინია ვინმეს იქ, ზევით?! კი, მაგრამ, ვისი? მათ ხომ ჭიბეში დაუნგული ჯაყვაც არ უგადათ თუნდაც ვაშლის გასაოღელადა. ნატას კინაღამ გაეცინა. წინა დღეს ვიღაცას კინოს სახლში სათათბირო დარბაზის კარების გახსნა უნდოდა და იმდენ მამაკაცთაგან არავის აღმოაჩნდა დანა, რომ კარის ღრიქოში შეეცურებინა და ხის ბრტყელი ურდული აეწია.

— ამისთანებისგან თუ იცავენ თავს, მაშინ დასაცავიც არაფერი აქვთ. ამისთანების დასარბევად თუ არის ეს არმია გამოგზავნილი, მაშინ ძალის გამოყენება არც დასჭირდებათ, ვინ არის წინააღმდეგობის გამწვევი, ვის აქვს გამოცდილება? ქართველ კაცს საბრძოლო კბილები დაუჟანგადა, სხვის იმედზე დაგვსვენს, სხვის იმედზე, — მწარედ შემოპკვენსა ნატას გულმა. წახართმევი წავგართვეს. მოგვადუნეს, დაგვარჩუნდეს, დაგვამდახლეს და დაგვადამბლავს. დიახ.

გულგონი

დიახ, ჩვენ დასაქურისებულები ვართ, უღონო და უძლური, ესენი კიდევ...

— სმირნო! — დაიყვირა ძალუში ხმით თეთრთავიანმა ოფიცერმა და ფიქრმორეული ქალი დააფრთხო. ნატა გამოერკვა, თვლები მოიწმინდა, ფანჯარას მოშორდა და გარეთ გასვლა დააპირა. მეორე სართულის კიბეზე რომ ჩადიოდა, ისევ შეეპარა ორ ჯარისკაცს. ერთს ხელში პატარა, ტარიანი ნიჩაბი ეჭირა და მეორეს უმიწნებდა. მეორე ჯარისკაცი სულელურად იცინოდა და მკერდს უშვერდა. ნატას იმდენად აკრთობდა მათი სახეების დანახვა, რომ კიბეზე ჩასვლა გადაიფიქრა, შემოტრიალდა და მესამე სართულზე ასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ნიჩაბიანმა ამოხედა და მკაცრად დაუყვირა: ტუდა ნელზია!

— ჩანდაბას თქვენი თავი! — ჩაილაპარაკა ნატამ და გაასპიტებით მოხედა ჯარისკაცს. ახლა მიხვდა, რომ თავმჯდომარის საბრძანებელს იცავდნენ.

გარეთ რომ გამოვიდა, სუფთა ჰაერზე, ეს ტანკებიც მაშინ შეამჩნია. რაკომლაც გულის რევა იგრძნო, დაიმანჭა, უნდოდა ტანკისთვის მიეფურთხებინა, მაგრამ უცებ კაფანდარა, პატარა ბიჭი დანახა, ხელში აყვავებული ნუშის ტოტი ეჭირა და ტანკისაკენ მოიძურწებოდა. ჯავშანზე შემდგარმა ჩაჩქანაინამ ტანკისტმა დაიყვირა, ძირს ჩამოხტა, მკლავები გაშალა და გზა გადაუღობა ბავშვს. ბიჭი ჭერ შეშინდა, მერე შეხტა, ნუშის ტოტი ტანკისკენ ისროლა და გაიქცა. ნატა გაქვავდა, იფიქრა, ჯარისკაცი ბიჭს გამოედევნებო, მაგრამ, საბედნიეროდ, ტანკისტს გაგულისებამ გადაუარა. გაივინა, ნუშის ტოტი ხელში აიღო, ყვავილს უყნოსა და მოშიშვლებებისაკენ ისროლა.


ნატამ შვებით ამოისუნთქა, რაღაცა მადლიერებაჲ კი იგრძნო ამ ჭორფლიანი, თავკომბადა ტანკისტისადმი. სწოლედ მაშინ იყო რომ გაიფიქრა, ქართველებს სიძულვილის უნარი არა გვაქვსო. — სულ იმის მეშინია, არავინ მოგვეფეროს, არავინ გვითხრას ტკბილი სიტყვა, — გამოუტყდა თავისთავს გუნებაში, — მაშინვე თაფლად და შაქრად დავადნებით, გაჯავრებაჲ დაგვაიწყებდა, სიძულვილიც, მტრობაც, ღმერთო, რა გვეშველებო? — ოხრავდა უნებურად და თან მოშიშვლებებისაკენ მიიწევდა. — არადა, ამ საცოდვმა ჯა-

რისკაცმა იცის კი, რა არის სამშობლო? — ახწავლეს მხოლოდ შიროკა სტრანა ნაშა როდნაია და მორჩა! ამ როდნაიას დასაცავად არის ახლა ჩვენთან მოსული. აი, ეს ახალგაზრდები კი როდნაიას ანგრევენ და პირიდან ლუკმას ართმევენ. არა, ამან ხომ არ იცის, რომ დამპყრობელია, არ იცის... არ იცის, — ზედღეოდ ჩამორეკა გულმა. — ეს ახლა „განმთავისუფლებელია“, მაგრამ ზევით იციან, ი-ცია-ნი! — ისევ გაიმეორა ექსპავით გულმა. ნატამ ამოიხსრა და მკერდზე მიიჭირა ხელი. — თუ ამბოხებო, ამბოხება იყოს, — გაიფიქრა რაღაცნაირი ჭიბრით, გაფიქრულთა ალყა გაარღვია, თავისუფალი ადგილი მოძებნა და სულ ზედა საფეხურზე ჩამოქდა.

მას შემდეგ აქ წის, აი, ამ გაყინულ ქვის კიბეზე და ელოდება როდის ამოიწურება მისი მოთმინების ფიალა. აღარც სახლი, აღარც სამსახური, აღარც შვილი... შვილის მოგონებაზე ნატას გული შეეკუმშა. მისი ვაჟიც შიმშილობდა, ოღონდ ის მთავრობის სახლთან თავის მეგობრებთან ერთად იჯდა.

— ღმერთო, როგორი სხვანაირი იყო, პირველად რომ გამოიბტყდა. ექსტრემისტი ვხდებო. — მოაგონდა ნატას. — მოიცა, როდის იყო ეს? — ქალი შეეცადა მეხსიერებაში თითოეული წვრილმანი აღდგინა. მას შემდეგ დიდი დრო არ იყო გასული, სულ ოთხი-ხუთი თვე. ნოემბრიდან დაიწყო ყველაფერი, სამხედრო კომისარიატში რომ გამოიძახეს, მაშინ... იმ დღეებში ნატამ დიდი დავიდარაბა გადაიტანა. ჯარში წასვლაზე უარი რომ განაცხადა, კინაღამ ციხეში ჩასვეს ბიჭი. მამუკამ დღესაც არ იცის, ათასი მანეთი რომ ჩაუთვალა ვიღაც კაცს „საქმის დამშვიდებისათვის“ — მაგრამ ფული რა სათქმელია, — მწარედ ჩაივინა ქალმა, — მთავარია ახლა როგორმე გადავურჩეთ რბევას. ნეტავ მამუკასთან ერთად დავმჭდარიყავი! — გაუღელვა უცებ თავში. — უფრო ადვილად გავუძლებდი განსაცდელს. ახლა უკვე გვიანია. ამ ბავშვებს ვერ მივტოვებ, იფიქრებენ გვილაღატაო. არა, არა, კინაღამ ხამამალა დაიყვირა, თავზე ხელები შემოიჭირა და რამდენჯერმე გაქანია. მოულოდნელად ვიღაცამ მხარში ხელი ჩავლო და შეანჭროა. ნატამ თავი ასწია.

— ქალბატონო ნატა, ვერ მიცანით? ნინო ვარ. მამუკას მეგობარი.



ავად ხომ არა ხართ? — მედროშე უღიმილა.

ნატა უცებ გამოერკვა, რატომაც შერცხვა, თვალები მოიფუნინა და ოდნავ წამოიწია:

— ვიცანი, როგორ არა. იქით რა ხდება? მამუკა როგორ არის?

— ყველანი კარგად ვართ, მშვიდობაა. აი, მამუკამ სათბილობელი გამომატანა, ილია შერის ნაკურთხია, ასე კი არ არის, — გაიცინა გოგონამ. — დღეს დილით შემთხვევით გავიგეთ, რომ შიმშილობთ. მამუკა გადარია. მაინც ვერ მიატოვა ჭკუფი. ხომ იცით, მთავრობის სახლი ცხელი წერტილია, ყოველ წუთს ველოდებით, რომ დაგვეხმინან.

— კი მაგრამ... — მედროშე გოგონას ისეთი აღტაცებული, ისეთი გაციკროვებული სახე ჰქონდა, რომ ნატა დაიხნა, — არ გეშინია? — არ... — ხმა ჩაუწყდა.

— შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, — მიუღქმა გოგონამ. — როდესაც იცი, რისთვის იბრძვი. შიში არაფერია, მთავარია შიანი, ქალბატონო ნატა, შიანი... აი, შეხედეთ ამ დროშას, ჩვენ ზოგერთებივით კი არ ამოვხვებით. ჩვენ რწმენითა და სათნოებით გვინდა მოვიპოვოთ თავისუფლება...

— ჰო, მაგრამ მტრისთვის სათნოებას რა ფასი აქვს, ჩემო კარგო? სათნოება მხოლოდ ჰუმანიტარულ ქრისტიანულ და მორწმუნე კაცის თვისებაა. ჩვენ კი, შეხედეთ, როგორ ძალას ვუპირისპირდებით.

— ეგ ძალა ძალადობაა, ქალბატონო ნატა, ამიტომ გახარება არ უწირია... სიკვდილითა სიკვდილისა დამორგუწველი, — წაიმღერა გოგონამ და დროშა ასწია. — რა ბედნიერი ვარ. იცით, ასეთი რამ არასოდეს არ განმიცდია, ასეთი რამ... — ენა დაება. — ეს... ეს... მარტო დროშა კი არ არის. ეს რწმენაა. ჩვენ გადავწყვიტეთ, აქციის დამთავრებამდე ჩამოვიაროთ ყველა სადროშო და ერთმანეთს გავუცვალოთ დროშები. დღეს მე წმინდა გიორგის დროშა მერგო.

ნატას გამოუთქმელი სევდით ავესო გული, წამოდგა და დროშის ტარს სასობით წაავლო ხელი. უნდოდა, მასაც ისე განეცადა ბედნიერება, როგორც ამას ეს ახალგაზრდა მედროშე განიცდიდა.

— ტანკები და ჯარისკაცები მარტო შესაშინებლად არ ჩამოგვირიგეს, ჩემო ნინო, — მხრები აუცახცახდა ქალს, — არ გვეხუმრებინან. როდემდე გავრძელდება ეს საშინელი ბოროტება, როდემდე?

ნინომ გაიღიმა და მხრებზე მოეხვი ნატას:

— ეგა, ვხედავ, ნერვები გლალატობთ. აბა, რა გეგონათ, ესეც ბრძოლაა, მშვიდობიანი, მაგრამ მაინც ბრძოლა. ნუთუ, როცა აქ საშიშილოდ ჯდებით, არ გქონდათ შეგნებულები? ნუ გეშინიათ, ყველაფერი მალე დამთავრდება. თოთხმეტ აპრილს აქ-

ცია მორჩება და ესენიც წაეთრევიან...

გოგონამ დაკვირვებით შეხედა ქალს:

— მე ხომ ვიცი, თქვენ აქ მამუკას გულისთვის წინართ, ამ კიბეზე მამუკას გულისთვის გადაწყვიტეთ შიმშილობა... ახლა ისეთი დროა, რომ მშობლები შვილებთან ერთად უნდა იყვნენ, იმეტომ კი არა, რომ პატარები ვართ. არა, იმეტომ რომ ერთად ვიყოთ, ერთად! — გოგონამ დროშა ზევით ასწია და მხიარულად გაიცინა — წუხელ მამაჩემიც მობრძანდა და ჩემს გვერდით დაჯდა. ყველაზე მეტად გაპყვირის გაუმარჯოს საქართველოსო.

ნატას უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მოშიშვლებს მაღალი, ლამაზი ბიჭი გამოეყო და თითქოს ნინოს საპასუხოდ ხმამაღლა, ექსტაზით შესძახა:

— თავისუფლება დამოუკიდებელ საქართველოს!

— გაუმარჯოს! — ერთხმად აიტაცეს ახალგაზრდებსა.

ყვირილი მალე მიწყდა. ლამაზმა ბიჭმა ხელი ასწია და მიკროფონი მოითხოვა.

— მეგობრებო! — დინჯად, ოდნავ ენისმოჩნული წარმოთქვა. — მტერი ყოველნაირად ცდილობს ჩვენს დათრგუნვას და გატეხვას, ავრცელებს ცრუ ინფორმაციებს. მთავრობის წარმომადგენლები ხალხში ჯაშუშურად დაძვრებიან და სწამლავენ უვით აღამანთა გონებას, ვითომ ისევ განმეორდება ცხრა მარტი, ვითომ ისევ დაგვიშენენ ტყვიებს, ვითომ სისხლი დაიღვრება... და შეიძლება მართლაც დაიღვაროს, მეგობრებო, მაგრამ იგი არ იქნება ჩვენი მხრიდან, ვინც ეს ტანკები მოგვისია, ის იქნება სისხლის დამღვრელი.

ქაბუკმა თანდათან აუწია ხმას:

— მეგობრებო, ამ შიშისა და პანიკის მაგივრად პარტიის ერთგულ ერისკაცებს და ერის მამებს ურჩევნიათ მოვიდნენ და ჩვენთან დადგნენ. იმედი გვაქვს, რომ მტერი მათ ვერ გაუბედავს ვერც ტყვიების სროლას, ვერც ტანკებით გადათელვას. გვევრიან მხოლოდ ჩვენ, ვითომ ექსტრემისტებს და ვითომ ანტიხალხთა ახალგაზრდებს. დიას, ჩვენ ვიქნებით ექსტრემისტები და ანტები მანამდე, ვიდრე საქართველო არ იქნება თავისუფალი. ჩვენ მოვითხოვთ დამოუკიდებლობას და არავის არ აქვს უფლება, საქართველოს წაართვას ენა, სარწმუნოება, მამული... მეგობრებო, ნუ მიეცემით პანიკას, ისტერიკას, ჩვენ არც ტელევიზიის აღებას ვაპირებთ, არც მთავრობის სახლში შეჭრას. ის, ვინც გარდაქმნა მოინდომა, საერთაშორისო ასპარეზზე არ მოინდომებს ავტორიტეტის შელახვას და მშვიდობისმოყვარე კაცის სახელის გაფუჭებას. ჩვენ ვერ გვევრიან, ჩვენ გვაშინებენ, ჩვენ კი არ ვუშინდებით... გახოვთ, ამ დღეებში, განსაკუთრებით ამ ღამეს, მარტო ნუ

დაგვტოვებთ. ისინი ელოდებიან ხალხის შეცოცხებას, რომ დაგვარბიონ და ხელკეტები დაგვიშინონ. ჩვენ ბევრი რჩევა და კეტის დარტყმა გადაგვიტანია. ამიტომ ნურავინ იფიქრებს, რომ გვეშინია, მაგრამ სოლიდარობისთვის მაინც ჩვენი ერთად უოფნაა საქირო... ჩვენ ხომ დიდი, ძალიან დიდი ხანია ერთად აღარ ვყოფილვართ. მეგობრებო.

— ღმერთო ჩემო! — შეშფოთდა ქალი, — რა უაზრო ლოწუნებია „ჩვენ მოვითხოვთ თავისუფლებას“. კი, მაგრამ ვის ვთხოვთ, ვინც წავგართვა? ან რატომ ვთხოვთ? თავისი სურვილით მოგვცემს? არა, ჩვენ უნდა მოვიპოვოთ... მო-ვი-პო-ოთ! დიას!

აღწევით წამოიძახა ტრიბუნისკენ სახემიმართულმა ნატამ და სასწრაფოდ შემობრუნდა, უნდოდა ნინოსთვისაც გაეზიარებინა თავისი აზრები, მაგრამ გოგონა გვერდით აღარ ედგა, წმინდა გიორგის დროშა ახლა მოშიშვლითა შუაგულში ფრიალებდა.

— ნინო! — ხმამაღლა დაიძახა ნატამ და უეცრად გაშტერდა. მოულოდნელად საიდანაც ჰერ ურუ დარტყმის ხმა, მერე ველური ყიჟინა შემოიჭრა. ერთბაშად აენთნენ პროექტორები. დამარბმავებელმა სხივთა კონამ პირდაპირ მოშიშვლითა თავზე გადაიარა. ნატამ თვალბეჭე აიფარა ხელის ზურგი, მერე სწრაფად ჩამოიღო და უნებურად სათზე დაიხედა. ოთხი სრულდებოდა. ველური ყიჟინა და დაფლავების ხმა ისევ ისმოდა, მაგრამ გულისმომკვლელ სიჩუმეს ვერას აკლავდა. მერე თანდათან ოთხივე კუთხივე აღმართნენ ჯარისკაცების დაჯავშნული ფიგურები.

— ვაიმე, შვილებო! — წამოიყვირა ნატამ და სასოწარკვეთილებით გადახედა მოშიშვლილ ახალგაზრდებს. არავინ აპირებდა გაქცევას. მშვიდად დაძაბული სახეებით ელოდნენ რაღაცას. წმინდა გიორგის დროშაც მათ შორის ფრიალებდა.

ნატამ ერთი საფეხურით ქვევით დაიწია. — ნინო, აქეთ, ამოდი ზევით! — დაიძახა სასოწარკვეთით, მაინც ვერ გააგონა. ჰაერი ისევ გააპო ველურმა ყიჟინამ და დამსჭერი რაზმი უცნაური, მხეტვური ღმუილით დაიძრა ადგილიდან. ჯარისკაცებს კისერი ოდნავ მოედრიათ, ნაღდაკრულ ჩექმებს გამალებით არტყამდნენ ქვაფენილზე და ხელკეტებს ატყაპუნებდნენ ფარებზე. სწორედ ეს ტყაპუნი გამოსცემდა დაფლავების ხმას. ისეთი შემზარავი, ყურისწამლები და ჯოჯოხეთური ხმაური ატყდა, რომ წამით ყველანი გაჩერდნენ და თეატრალიზებულ სანახაობასავით დაუწყვეს ყურება. ასეთი რამ მიტინგზე მოსულ არც ერთ აღამიანს ჰერ არ ენახა.

— გაიქცით, დაიშალენით, — უცებ დაიყვირა ვილაცამ დაქრისკაცებისკენ ცარიელი ბრჭყალებით. ბოთლია შიანს ვერ მიაღწია, მაგრამ თითქოს ამ ნიშანს ელოდაო, დამსჭელი რაზმი არევდარევით შეიჭრა მოშიშვლითა შორის და ხელკეტებით ცემა დაუწყვეს. რამდენიმე გოგონა დეცა და კიბის საფეხურზე ალისფერი სისხლის ნაკადი ჩამოიღვარა.

სისხლის დანახვამ ჯარისკაცები თითქოს გააცოცხა, ახლა მარტო ხელკეტებს კი არა, ნიჩბებსაც იქნედნენ. ამაზრუნევი კვილი მოეფინა იპაურობას. პროექტორების დამარბმავებელმა შუქმა უფრო იმძლავრა და ამ შუქში გახვეული წმინდა გიორგის დროშა ხან ნად აფრიალდებოდა ხოლმე, ხან ნად. თითქმის დაბრმავებული ნატა საფეხურიდან საფეხურზე სტებოდა. ცდილობდა, როგორმე დროშამდე მიეღწია. არაფრისა და აღარავის ეშინოდა, აღარც ამ გაცოცხებული, სიკვდილისსახიანი ჯარისკაცებისა, აღარც ზურგზე აღმართული ხელკეტებისა, აღარც ალესილი მესანჯრის ნიჩბებისა. ყველაფერი ერთმანეთში აირია და სიძულვილის მეტი აღარაფერი დარჩა.

— ვაიმე, შვილო, ჩემს მამუკასაც თუ ასე ჩეხავენ, ვათუ ასე აწამებენ! — კვილით მოსთქვამდა ქალი და კიბიდან კიბეზე გადაბრბოდა. უნდოდა როგორმე წმინდა გიორგის დროშამდე მიეღწია, როგორმე დაეცვა, გადაფარებოდა.

— ნინო, გამაგრდი, გენაცვალე ნინო! — შესძახა მთელი ხმით და ვარდის ბუჩქების გაზონში ისკუპა. მოულოდნელად მოჩახახე შუქი გაქრა და მკრთალ სინათლზე მან გააფორებული მედროშე გოგონა დაინახა. ჯარისკაცს ჩაქანზე დროშის ტარს რომ ამტვრევდა.

— მოვდივარ, ნინო! — ისევ უნდოდა დაეძახა, მაგრამ ხმა აღარ ეყო. ყელი უცებ წებოსავით თხიერი საწამლავით ამოევსო. წებო გამკვირვდა, გამაგრდა და სუნთქვის საშუალება აღარ მისცა. თითები იტაცა ყელზე, ჩამოიფხოჭვა, მაინც არ ეყო ჰაერი... ძალა მოიკრიფა. რომ არ დაცემულიყო, მერე ნელნელა მოიღვენთა და ვარდის ბუჩქზე დაეშვა. იმ წამს წმინდა გიორგის დროშამაც იელვა და გვერდზე გადაიხარა. სიკვდილისსახიანმა ნიღბოსანმა მედროშე გოგონას მთელი ძალით დასცხო ხელკეტი მხარზე. გოგონა უხმოდ ჩაიკეცა. ქალათმა დროშა გამოგლიჯა და ჩექმიანი ფეხით ზედ შედგა. ყველაფერი უცებ, თვალის დახამხამებაში მოხდა.

როცა რბევა დამთავრდა, თბილისის თავზე ცა გადაგლეჯილს ჰგავდა. შავი ღრუბლებით შემოსუდრული ზეცა ნაბრალივით შუაზე გარღვეულიყო და ხსხასა სილურჩეში სამი ცალი პაწია, პაწაწინა ვარსკვლავი ცრემლივით ციმციმებდა.



ქალი

კოლონიზაჟი!?

მიწის მტვერისაგან გამოსახა ღმერთმა პირველი აღამიანი. სული შთაბერა. მერე მიაძინა. გამოუღო მას ნეკი. მისგან შექმნა ქალი. „და თქვა აღამმა: ეს კი მართლაც ძვალთა ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი. დედაკაცი ერქვას მას. რაკი კაცისაგან არის გამოღებული“.

ქალია პირველი შემცნობელი ბოროტისა და კეთილისა.

იქნებ მაშინ გადმოწვიმდა ევას თვალთაგან პირველი ცრემლი, როცა ღმერთმა ედემის ბაღიდან გააძევა ისინი და მარტოდ დატოვა ცოდვა-მადლიან დედამიწაზე. ვინ იცის. ეს კია, რომ როცა ქალი ტირის, ტირის მასში მამაკაციც და დედაკაციც. ამად არის მისი ცრემლი მწარე. ... და როცა ქალი სცოდავს, სცოდავს მასში მამაკაციც და დედაკაციც. ამად არის მისი ცოდვა მძიმე...

„დაინახა უფალმა ღმერთმა, რომ იმატა აღამიანთა უკეთურობამ ამქვეყნად...“

ინანა უფალმა, რომ შექმნა აღამიანი ჩვეყნად, და შეწუხდა...“

ღმერთს სურდა თავის სახელ, თავის ხატებად ჰყოლოდა აღამიანი დედამიწაზე. ეს დაივიწყა კაცთა მოღვაწე. იმრავლა ცოდვამ. და რაც უნდა ყრუ და გაუვალ კედლით გამოყო ცოდვიანნი უცოდველთაგან, ეს კედელი მაინც პირობითი იქნება.

... ხმაურით მიიხურა ერთი რკინის კარი. მეორეს გახსნას რა დრო დასჭირდება, ჯერ არ ვიცი. ვღვაჯარ ორ, ჩემთვის იღუმალ კარს შორის მოქცეული და ვფიქრობ:

რატომ მოვედი აქ. რა თვალთ შეგხედო ჩემს გატანჯულ გიშსა და მოღვაწეს. მე ხომ სულიერი მოძღვარი არა ვარ, რომ მათგან აღსარება მივიღო და რაღაცით სული დავუამო. არც სამართლიანობის ღვთიური სასწორი მიჭირავს ხელში, რომ მათი ცოდვა-ბრალი ავწონო... მალვით ვაპარებ თვალს იმ კარისაკენ, რომელიც თავისუფლების სამყაროსთან დამაბრუნებს, მაგრამ გვიანაა. თანაც გული მაინც მათკენ მიმიწევს. მითუმეტეს, რომ რედაქციაში გამოგზავნილი ორი პატარა გოგონას წერილი მიჭირავს ხელში. ნინო და ლელა როგორც ღმერთებს, ისე შემოგვლადებენ, დავეხმაროთ, დაიბრუნონ დედა. ჩვენი კეთილი, ჩვენი ლამაზი დედა არ შეიძლება დამნაშავე იყოს. ჩვენ გვწამს რომ იგი ბოროტი აღამიანების მსხვერპლია — ყურში მიწვივის მათი სიტყვები. დიას, მათ სჭირდებათ ეს რწმენა. დედის თუ არ იწამე, როგორ, რა ძალით იცხოვრებ ამქვეყნად. რა აღამიანი გამოხვალ...“

... და იღება ჩემს წინ მეორე კარიც.

მოსაფლტებული ეზო, გაზონები, ხეთა სიმწვანე ხვდება უცაბედად თვალს... ყველაფერი ისეა, როგორც იქ, ჩვენთან. მაინც მიწაზე უნდობლად ვადგამ ფეხს და ყველაფერი მოჩვენებითი მგონია.

დღეს კვირა დღეა. შეილებთან, ახლობლებთან შეხვედრის დღე. მადლობა ღმერთს, ეს უკვე მსჯავრდებულთათვის გადაუღალავი პრობლემა აღარ არის. აი, ათიოდე წლის ფერმკრთალი პირისახის ბიჭი შემოიყვანა მამიდამ. ზაზას დიდი, სევდიანი თვალები უკვე დაეძებნენ დედას. ისიც იქა დგას, სახეშეშლილი, აკანკალებული.

ბული. ბიჭს ალბათ ერთი სული აქვს, ჩაეკრას დედას გულში, მაგრამ როგორღაც ჯერ ვერ ბედავს, ისევე მამიდის ხელს ეკვრის და უფრო დიდ ტანჯვას ვკითხულობ მის სახეზე. ჩემდაუნებურად ვანგარიშობ სამი წლის მანძილზე რამდენი ამგვარი ლელვა გადაიტანა მისმა პატარა გულმა და ვინ იცის, კიდევ რამდენის გადატანა მოუწევს...

ზაზა ჯანმრთელი ბავშვი არ არის. მამაც ისეთი დაავადებით ჰყავს, მასთან შეილის გაჩერება რომ არ შეიძლება. კიდევ კარგი, კეთილი მამიდა ზრუნავს მასზე. ზაზას დედას სასჯელი გადაადებული ჰქონდა ფეხმძიმობის გამო. მკედარი ბავშვი დაებდა. როგორც თვითონ ამბობს, პირდაპირ სამშობიაროდან მოიყვანეს იგი კოლონიაში და პირველი დღიდანვე თავდაუზოგავად მუშაობს, რომ როგორმე გამოისყიდოს დანაშაული...

მეტი აღარ შემიძლია. დედა-შვილის დაცილებას ვეღარ ვუყურებ. გამოვდივარ.

— დედა, შვილო, როგორ ხარ, დედა, როგორ იმგზავრეთ, დედა! ცული ხომ არაფერია. რას ჰამთ, დედა. მე რომ აქ ლუქმას გადავყლაპავ, იმას ვფიქრობ, იმათ თუ აქვთ-თქვა, დედა!

ეს კიდევ ერთი დედა ხვდება თავის სამ შვილს, სამდღიან შეხვედრაზე. რა ლუქმაა პატიმრის ლუქმა, ის რომ შეგშურდეს საკუთარი თავისთვის, მაგრამ დედის გული აქაც დედის გულად დარჩენილა...

დედა სჭირდება ოზაანელ ხათუნას, ეკას და მაკას. „ჩვენ კარგად ვართ. მაკა კარგად სწავლობს. დღესაც ერთი ხუთიანი მიიღო. მამა გვაბრაზებს, მე ციგანკას მეძახის, ეკას კიდევ თათარს. ეხლა მაშლევიანებს რომ არ მისწერო“. — ამას ხათუნა წერს დედას, უფროსი. შუათანაც ამშვიდება. ჩვენ კარგად ვართ და მაკაც კარგად სწავლობს. სულ პატარა კი პირველკლასელია. წერა ახლა უსწავლია და დაფანტული ასოებით გამოუყვანია: „სალამი დედას. დედა როგორა ხარ. მე კარგად ვარ... გელოდები ახალი წლისთვის“...

ამ ბავშვების საცოდაობამ თუ შესძრა სოფელი, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს რომ გაუგზავნა თხოვნა, დაგვიბრუნეთ ჩვენი დამნაშავე, ჩვენ გამოვასწორებთო... ღმერთმა ინებოს, აღსრულება მათი სურვილისა, ბედნიერება და სიხარული სამი მომავალი დედისა...

მერე ჩემთვის უკვე ნაცნობი ლელასა და ნინოს დედაც ვნახე. სანუგეშო სიტყვა ვერ ვიპოვე... დიდი სურვილი, უცოდველ ბავშვებს, რომელთაც სწამთ დედის სიმართლეს, ჯანმრთელი და სულით ძლიერი და-

უბრუნდეს იგი. ალბათ, ეს გაითვალისწინეს, სადაც ჯერ არს და ნინოს და ლელას დედის სასჯელს უკვე სამი წელი მოაკლეს...

დარდი და ტკივილი ბავშვობას აკარგვინებს ბავშვს. ნადრევად ბავშვობადაკარგულ აღამიანზე საცოდავი კი არავინაა ამქვეყნად.

ნინოს დედისადმი მიწერილი წერილებიდან.

... „ჩვენთვის არაფერი სიხარული აღარ არსებობს. მინდა დიკომ არ იღარდოს. მაგრამ ყურს არ მიგდებს. მასწავლებელი ემდურება. გაკვეთილს ყურს არ უგდებსო. მე რომ რამეს ვეტყვი, ის მეუბნება, მე როცა ჩემი დედა მეყოლება გვერდში, მაშინ ვისწავლიო. ჩემ დედამ უფრო კარგად იცის ყველაფერი, ვიდრე მასწავლებელმაო. დედა, გულში ბევრი დარდი გაქვს, მაგრამ გავმარდეთ შენც და ჩვენც“...

... „როგორა ხარ, დედა, როგორ მიეჩვიე, მაგ სამარის კედლებს. ნეტა ვიცოდე, რა დავაშავო ისეთი, რომ მეც შენთან მოვხვდე. არადა უდევლობა მოგვებზრდა, დედა. ძალიან გვიჭირს უშენოდ. შენი სურათი ჯიბით დამაქვს, მაგრამ მაინც ვერ მოვისურვილებ ზოლმე სიყვარულს შენსას. სულ შენი ხმა მესმის ყურებში. დედა ბაბო როცა ღამის ცვლაშია თან მივყვებით და იქ ტელეგრაფებზე გვძინავს. სახლი მაინც არა გვაქვს და რა მნიშვნელობა აქვს...“

... „მინდა გისურვო კარგათ ყოფნა, გამოჯანმრთელება. ეგ ავადმყოფობა საერთოდ აღარ გქონდეს. მინდა იყო ისევე კეთილი და ლამაზი დედა. ჩვენ უშენოდ სიცოცხლე არ გვიინდა. ჩვენი ამომავალი მზე ხომ შენა ხარ, დედიკო, ახლა აღარაა ჩვენი მზე. ჩვენ სულ ჩრდილო ვართ მოქცეულები... ჩვენთვის შენი სიტბო აღარ არსებობს. დედა, ჩემო დედიკო, გესმის, რომ ამდენ გაჭირვებას ვეღარ ვუძლებთ. ჩემი არ მყოფნის და ლელამ ტირილით ტვინი წამართვა. იმ დღეს კინაღამ ვცემე, ატყდა და ტიროდა, თითქოს მე არ მინდა დედა“.

ამ ბავშვებს დედის დაბრუნებამდე საზოგადოების სიტბო თუ გადაარჩენს. კიდევ კარგი, მათ კეთილად ექცევიან 99-ე სკოლაში. პედაგოგებმა ქეთინო ჩლიპქემ და როზა გზირიშვილმა კოლონიაშიც ინახულეს მოსწავლეების დედა და მზრუნველობასაც არ აკლებენ გაჭირვებაში ჩავარდნილ ბავშვებს.

... ტკივილს ტკივილი მოსდევს. იცვლებიან ფერმკრთალი სახეები და თითოეული

მათგანი მოუშეშებელ ჭრილობას ტოვებს. აი, ვუყურებ საქლენმრეწვის გურჯაანის საწარმოო გაერთიანების ყოფილ მთავარი ბუღალტრის მოადგილეს. იგი დაღვნილი სანთელს მაგონებს. ერთი შეხედვით თითქოს წონასწორობა შეუნარჩუნებია. კურიერად მუშაობს, ჩუმად აკეთებს თავის საქმეს, მაგრამ საკმარისია გამოელაპარაკოთ, რომ ცრემლად დაიღვრება, მთლად აკანკალდება და გეტყვით:

— რასაც მე განვიცდი, იმის სიტყვით გადმოცემა რომ შემეძლოს, ასე მგონია, არამც თუ ვინმე ჩაიდენს დანაშაულს, გულშიც არ გაივლებს ფიქრს. მეგონა, შვილების სიყვარულით გადავდგი საბედისწერო ნაბიჯი, ახლა ვხვდები, როგორ არ მყვარებია ისინი მაშინ. რამდენი სირცხვილი მოვუტანე ჩემს პატიოსან ოჯახს, მუდამ ალალი შრომით რომ ირჩენდა თავს. როგორ გავამწარე ჩემი დედამთილი, რომელმაც მარტოხელამ, გაჭირვებით გაზარდა ჩემი ქმარი და ჩემთვის მუდამ დედასავით თბილი იყო. რა ვაება ვაჩვენე მოხუც დედას, რომელიც ახლა 87 წლისაა. ის მელოდება, რომ მშვიდად მიაბაროს სული ღმერთს. ნეტავ, ჩემი სახლის კარი ერთხელ შემალეზინა და მერე მომკლა!

რამდენი მტანჯველი ღლე გაატარა იზომ, მაგრამ ყველაზე მეტად მაშინ დაიფერფლა, ვაჟმა ცოლი რომ მოუყვანა. წარმოიდგინეთ დედამთილის მდგომარეობა, კოლონიაში პირველად რომ ნახავს რძალს. მერე ბავშვიც დაიბადა. მასაც, ორი თვისას, კოლონიის სარკმლიდან მოჰკრა თვალი...

ქალბატონო, თქვენ თავდადებული შრომითა და მონანიებით დაიმსახურეთ კოლონიის ხელმძღვანელობის შუამდგომლობა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში. ახლა გულისკანკალით ელით თქვენს მსჯავრს. სინდისი იმ მხრივაც გაქვთ სუფთა, რომ ის თანხა რაც არ გერგებოდათ, პირწმინდად ჩააბარეთ ჯერ კიდევ სასამართლომდე... ღმერთი იყოს თქვენი შემწე! იმაში კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენი ხელიდან აღარასოდეს გამოვა მრუდე საქმე.


კოლონიის ბინადარის სულიერი მდგომარეობა სულ რამდენიმე წინადადებაში ჩატია ერთმა ნაადრევად გაჭალარავებულმა ქალმა.

— პრესას ვკითხულობთ — ვდეღავთ, ტელევიზორს ვუყურებთ — ვდეღავთ. ყოველკვირა ფილმი მოაქვთ, მაგრამ იგი ესთეტიკურ სიამოვნებას თითქოს არ გვანიჭებს. მედბუნქტიც მუშაობს, ბიბლიოთეკაც, აბანო ყოველდღე გვაქვს და მაინც არაფერი არ აძლევს სულს შეღავათს. ყოფილი თანამშრომელი ან მეგობარი მომაკითხავს და მგონია, მხოლოდ მოვალეობას იხდის. გული ძველებურად აღარ იხსნება.

ცდებით, ნანა, მე ვესაუბრე ფილარმონიაში მწერალ ვახტანგ გოგოლაშვილს, თქვენს ერთ-ერთ ყოფილ ხელმძღვანელთაგანს. იგი გულწრფელად აღელდა. დიდი სითბოთი და სიყვარულით გაგიხსენათ. ისიც ყველასთვის ცხადია, რომ იოტისოდენა ვნების მოტანა აღარ შეგიძლიათ საზოგადოებისათვის. ახლა თქვენი შრომა თავისუფლების პირობებში უფრო დიდი სიკეთის მომტანი იქნება.

ნანას შინ მხოლოდ ორი და ელის და დედის საფლავი. ის იყო გამოიკვეთა მისი ცხოვრების თანამგზავრი და მაშინ დატრიალდა უბედურება.

— მიმატოვა, რა გასაკვირია. ასეთ



ფოტო იური რიდალოვისა

მდგომარეობაში მყოფ ცოლებს ტოვებენ და მე ვინ გამიხსენებდა, — გულნაკლულმა თქვა. ძნელია, როცა ხელში ადნება ქალს წლები, ვერ ეღიროება ნანატრ ოჯახს. დედობას... აქი ნანას დედაც ამას დარღობდა და გადაჰყვა კიდევ ამ დარდს ექვსი თვის შემდეგ.

ღღეს მას მსჯავრდებულთა შრომის ორგანიზაცია ევალედა. პატარა, სამუშაო ოთახი აქვს — მაგიდა, გამხმარი ყვავილები და ხატები. თითქოს ამ ვიწრო ოთახში შეუფარებია სული გადასარჩენად, ნანატრ ღღესთან შესახვედრად.

... ყოვლის წამლეკველი გრძნობა ეუფ-

ლება ადამიანს, როცა უცხო თვალით შეიხედავს მათ სამყოფში და მთელი თავის ჯოჯოხეთური საშინელებით დაინახავს ერთმანეთში არეულ უამრავ სახესა და ბედს... როცა ერთად წააწყდება სევდიან, თავისუფლებისმოლოდინე თვალებს... ყველას თავისი საწუხარი აქვს, თავისი სათქმელი, თავის სიმართლეს ეძებს. ამ ქალს სოფელ კოჭბაანში ერთ კეთილ ოჯახში ჰყოლია შვილი, ბესიკი თვითონ დედას სწერს: „გამაგრდი, მე უშენოდ სიცოცხლეს ვერ შევძლებ“.

პატარა ლაშა და თემური კი პაპის ავადმყოფობას ატყობინებენ დედას. „არ

გეწყინოს, დედიკო, რომ ბებია არ ჩამოვა. ბებია არ შეიძლება, რომ ერთი წუთით მოშორდეს ბაბუკას...“

„...სკოლიდან მოვედი, დამხვდა შენი დეპეშა, რომელშიც იწერები ცოცხალი ხომ ხართო. ბებია ბაბუკას ადგია თავზე. ახლა ბაბუა უკეთ არის, შენ თავს გეფიცები, ბაბუა კარგად არის, ფეხზე დაიარება. იმდენი წამალი მოუტანა ბებია, დააყენა ფეხზე და ამიტომ დაავიანდა“.

რა ქნას იმ ბებია, შინ მეუღლე რომ ჰყავს მძიმე ავადმყოფი, უპატრონოდ დარჩენილი ბავშვები მოსავლელი და იქით პატიმარი შვილის დარდი უღრღნის გულს...

ფიქრს კიდევ ერთი აკანკალებული ხელი და სევდიანი თვალები მაწყვეტინებს. ვშლი წერილს. პატარას საგულდაგულოდ გამოუხაზია ქალღღრღე თავისი თითები და დედისთვის გამოუგზავნა...

ფოტოები, ფოტოები, ფოტოები... შვილების, შვილიშვილების, ოჯახის, ახლობლების. კულმინაცია — მაღალი ფიგურა მძიმედ დათალხული, მარმარილოსავით თეთრი და გაცივებული სახე და გულზე სულ ახლახან, ორიოდ თვის წინ ავტოკატასტროფაში გარდაცვლილი შვილის სურათი... მერე ამ სურათზე შიშით შეყინული უამრავი თვალი და სამარისებური დუმილი. ზარავით ფიქრში დარეკილი აზრი: „ახლა ყველას ეს საშინელი ბოლო აფიქრებს“.

ნანახისა და განცდილისაგან გატანჯულს მკაფიოდ ჩამესმა ქალის ხმა:

— ერთი დამეც რომ გაათიოს ნამდვილმა ქალმა კოლონიაში, ის აღარასოდეს ჩაიდენს დანაშაულს. ჩვენ კი უკვე წლები გავატარეთ აქ. გვაკმარონ ტანჯვა, თორემ უკვე თანდათან ვუცხოვდებით მეუღლეებთან, შვილებთან, შვილიშვილებთან. ეს საშინელებაა. მას კვერი დაუკრა გვერდით მდგომმა მანდილოსანმა და თავისი ტკივილი იმით გამოხატა, რომ ხუთი შვილიშვილის სურათი და წერილები ამოიღო სასოებით.

„ნუ გეშინია, მე შენ გვერდში ვარ... რა ვიჭირს მითხარი მე!“ — ვაჟკაცურად ამხნევეს ამ ქალს უმამო შვილიშვილი, ვახტანგი. მეორე წერილში კი იგი წერს: „ახლა თოვს. შენ თუ არ გადიხარ გარეთ, ფანჯარა მაინც გააღე, სუფთა ჰაერია. ძალიან მენატრები, ჩემო კარგო, ლამაზო და ტკბილო ბებო“.

ნათია კი ვერ ფარავს თავის განცდებს: „მე ძალიან მენატრება, რაღაც სასწაულად მინდა შენი ნახვა... სახლში ვეღარ ვჩერდები... ოჯახი ოჯახს აღარ ვაგას“.

... და განზოგადდა მთელი დღის განცდა. გაერთიანდა უამრავი ქალის, მათი შვილების, შვილიშვილების ბედი და დიდ ტკივილად იქცა.

ახლა ძველი დრო აღარ არის. კოლონიებში სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი ილია მეორე იყო. სისტემატურად დადის მოძღვარი, ხელმძღვანელობა აპირებს შექმნას კუთხე, სადაც მსჯავრდებულს შეეძლება ლოცვა და მონანიება.

სახალხო ფრონტის წარმომადგენლები კოლონიის ხშირი სტუმრები არიან და იბრძვიან კიდევ ბევრი კეთილი საქმის ხორცშესასხმელად. დიდ ჰუმანურ სიახლეებს უდგას სათავეში სხვადასხვა საზოგადოება, პარტია, ასოციაცია.

საზოგადოების ყურადღება განსაკუთრებით არის მიპყრობილი ქალთა კოლონიისაკენ. მასზე ხომ ბევრად არის დამოკიდებული მომავალი თაობის ბედი.

— ახლა დროა, საზოგადოებამ გადაწყვიტოს, რა უფრო სასარგებლო იქნება ბავშვთათვის. ის რომ მონანიებული დედები დაუბრუნდებიან ოჯახებს, შვილებს, თუ...“

ამას კოლონიის უფროსი გოგი ღვინაძე ამბობს. იგი მხოლოდ ორგოდ თვეა რაც მოვიდა, მაგრამ ბევრის გაკეთება მოასწრო. თავისი წინამორბედისაგან გოგი ქებურისაგანაც კარგი მემკვიდრეობა მიიღო. უფრო შორს მიდის გოგი ღვინაძისა და

მისი მოადგილის მზია გელბახიანის ფიქრი.

კოლონიაში არიან ინვალიდები, სამოც წელს გადაცილებული აღაშენებელი...

მეტად უნდა ვენდოთ ადამიანებს, თუ ისინი ამას იმსახურებენ... სოფლებმა, რაიონებმა, სამსახურებმა გაბედულად უნდა თქვან თავიანთი აზრი. საზოგადოებამ უნდა აიღოს თავისთავზე იმ ადამიანების ბედი, რომლებმაც დაიმსახურეს, მოინანიეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი დიდ საქმეს აკეთებს. მისი რექტორის, მამია დარჩიას გამოჩენას კოლონიაში იმედის სხივი მოაქვს. კეთილ საქმეში მას მხარში უდგას პროფესორი ზურაბ ფორაქიშვილი, კომპეტენტურ მეცნიერთაგან შემდგარი კომისიები. მომწიფდა აზრი და შეიქმნა სათანადო საბუთებიც ათეულობით მსჯავრდებულ დედაზე, რათა მიიღონ შეწყალება.

ახლა მთავარია ხელი არ შევეშალოთ ერთმანეთს და ყველანი ერთად არ მივაწყდეთ ვიწრო კარს... დრომ, ახალმა ვითარებამ მოიტანა ბევრი ჰუმანური და სამართლებრივი ნაბიჯი, მაგრამ ეს მაინც ახალი საქმეა. ყინული ერთბაშად ვერ დადნება. ნელ-ნელა უნდა იქცეს სიტყვა საქმედ. ეს საქმე კი უთუოდ კეთილად წაადგება მომავალ თაობას.

ალბათ, სამოც წელს გადაცილებულ პირველ და მეორე ჯგუფის ინვალიდებზეც ითქმება გადაწყვეტი სიტყვა...

... ჯერჯერობით კი ისევ ლანდებივით დადიან კოლონიის კედლებს მიღმა ისინი, ვინაც გულით სურს მოინანიოს, თავდადებით შრომობს. დიდ სამქროში, სადაც სპეცტანსაცემელს კერავენ, აგრეგატები ხმაურობენ, მაგრამ მაინც დუმილი მეფობს.

... აქ არც ღიმილი ჰგავს ღიმილს, არც სიხარული სიხარულს. მხოლოდ ცრემლია ნამდვილი, ჭეშმარიტი, ცრემლი დედისა და კაცისა — დედაკაცისა.

ნათელა გიორგობიანი

ხველაფერი წარმავალია

(დასასრული)

თანამონაწილენი და მოსწავლენი აგრძელებდნენ ლენინის საქმეს.

...მათ, ვინც დატოვა მან, აბობოქრებულ ნაპირებიდან

გადმომავალი ქვეყანა ბეტონით უნდა შეკრან.

მათთან ვერ იტყვი: ლენინი მოკვდა! მათთვის სიკვდილს სევდა არ მოუგვრია, უფრო კუშტად და მკაცრად მიჰყავთ მისი საქმე...

დარჩა ლენინის მოპოვებული პარტიის დიქტატორა, მისი შექმნილი არმია, მილიცია, „BЧK“ მუშეაკი... ლენინის სიკვდილის შემდეგ დარჩა ოცდარვა ტომი ლენინის ნაწერებისა. ლენინის თანამებრძოლთაგან ვინ შესძლებს უფრო ღრმად და სრულად შეისრუტოს და თავისი ხასიათით, გულით, ტვინით გამოხატოს ლენინიზმის ჭეშმარიტი, მთავარი არსი? ვინ ჩაიბარებს ლენინის დროშას, ვინ ატარებს მას, ვინ ააშენებს ლენინის დაწყებულ უდიდეს სახელმწიფოს, ვინ წააყვანს ახალი სახის პარტიას გამარჯვებიდან გამარჯვებამდე, ვინ დაამკვიდრებს ახალ წყობილებას დედაიწვეზე?

ბრწყინვალე, მღელვარე, შესანიშნავი ტროცკი? განმზოგადებლისა და თეორე-

ტიკოსის გულში ჩამწვდომი ნიჭით დაჯილდოებული მომხიბლავი ბუხარინი? გლენთა და მუშათა ინტერესებთან უფრო ახლოს მდგომი, სახელმწიფო ხელმძღვანელობაში გაწაფული, განათლებული და დაჯერებული კამენევი? საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მცოდნე, საერთაშორისო კლასის პოლემისტ-დუელიანტი ზინოვიევი?

ხასიათი, სული თითოეული მათგანისა ახლოსაა, ეხმიანება ლენინის ხასიათის ამა თუ იმ ნაწილს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი არ იყო მთავარი, ძირითადი, არსის განმსაზღვრელი, მომავალი ახლის ფესვები.

ბედისწერის გამო, მოხდა ისე, რომ ლენინის ხასიათის ყველა შტრიხი, რომელიც გამოხატული იყო თითქმის გენიალური ტროცკის, ბუხარინის, რიკოვის, ზინოვიევის, კამენევის ხასიათში, აღმოჩნდა მეამბოხური, და ყველა დასახელებული ლიდერი კრახთან, დალუპვამდე მიიყვანა.

ლენინის ხასიათის არსი არ იყო ამ შტრიხებში. მასში აღმოჩნდა ლენინის სისუსტე, მეამბოხეობა, ლენინური სასწაულ-მოქმედება, ილუზია. ახლის არსი არ სჩანდა მასში.

ლუნაჩარსკის შტრიხებიც, რომელიც „აპასიონატის“ უსმენდა და „ომი და მშვიდობით“ თვრებოდა, რამდენადმე ლენინური მიჯნა იყო. მაგრამ არც საწყალ ლუნაჩარსკის ეწერა მკაცრად და პირქუშად ეკეთებინა ლენინური პარტიის მთავარი საქმე. არც ტროცკისათვის, ბუხარინისათვის, რიკოვისათვის, კამენევისათვის, ზინოვიევისათვის მიუკუთვნებია ისტორიას გამოეხატა ლენინის იდეალი არის.

სტალინის სიძულვილი ოპოზიციის ლიდერებისადმი, იყო მისი სიძულვილი ლენინის ხასიათის იმ შტრიხებისადმი, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა ლენინის არსს.

სტალინი სიკვდილით სჯიდა ლენინის უახლოეს მეგობრებსა და თანამებრძოლებს იმიტომ, რომ თითოეული თავისებურად ხელს უშლიდა იმ მთავარის განხორციელებას, რაშიც იყო ლენინის იდეალი არსი.

მათთან ბრძოლით, მათი სიკვდილით დასჯით, ის თითქოს ლენინსაც ებრძოდა, ლენინსაც კლავდა. მაგრამ ამასთანავე სწორედ მან უძლეველად დაამკვიდრა ლენინი და ლენინიზმი, ასწია და გაამაგრა რუსეთის თავზე ლენინის დროშა.

თარგმანა ქეთევან ჩხაიძემ.





ჯიბსონ სუნდაკი



„მე ქართული ანსამბლი ჩის კი ვისწავლო“



„...ძალზე ცოტა რამ არის ცნობილი კავკასიაში ბალაქირევის ყოფნისა და, კერძოდ, ადგილობრივ მუსიკალურ მოღვაწეებთან მისი ურთიერთობის შესახებ.“ — გულახდილად ნათქვამი წინასიტყვაობაში წიგნისა „ბალაქირევი. ცხოვრებისა და შემოქმედების მატთან“.

ამ გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის, დირიჟორის, პიანისტის, საზოგადო მოღვაწის შესახებ ვერც ერთ წიგნში ვერაფერს ან თითქმის ვერაფერს ვერ იპოვით საქართველოში ბალაქირევის ყოფნის შესახებ, იმის შესახებ, თუ რა კვალი დატოვა საქართველომ მის შემოქმედებაზე. არადა, როგორც ცნობილი მუსიკათმცოდნე კონსტანტინე კოვალოვი წერს, „მუსიკაში ეროვნული ნიშან-თვისებების ძებნამ სამჯერ ჩაიყვანა იგი კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, რომლის სიყვარული მთელი უკანასკნელი ცხოვრების პერიოდში არ მოშორებია“.

ამ სტატიის მიზანია, შეავსოს ხარვეზი, კერძოდ, მოკლედ, მაგრამ მაინც გააცნოს მკითხველს, თუ რა დიდი როლი შეასრულა საქართველომ ამ სულით ხორცამდე რუსი ადამიანის, ახალი რუსული მუსიკალური სკოლის „მოგუზაია კუჩკას“ („მძლავრი წრის“) სახელწოდებით ფართოდ ცნობილი სკოლის მეთაურისა და უშუალო ხელმძღვანელის მოღვაწეობაში.

მილი ალექსის ძე ბალაქირევის მუსიკალური მსოფლმხედველობა უშუალოდ ენათესავება რევოლუციონერ დემოკრატიკანმანათლებელთა იდეებს. რუსული მუსიკის შექმნის ამოცანამ, რომელიც ავითარებს ხალხურობაზე, რეალიზმსა და გამოხატვის სიმართლეზე დაფუძნებულ მ. გლინკას მიღწევებს, განსაზღვრა ბალაქირევის შემოქმედებისა და მისი მეთაურობით მომუშავე „მძლავრი წრის“ საერთო მიმართულება. ბალაქირევის ბრწყინვალე მუსიკალურმა ნიჭმა, დიდმა ერუდიციამ, მრწამსმა და პრინციპულობამ, დამოუკიდებლობა აზროვნებამ და კრიტიკულმა ნიჭმა, ენერგიამ, ნებისყოფამ, ტემპერამენტმა განაპირობეს მისი, როგორც წრის ხელმძღვანელის უსაზღვრო ავტორიტეტი. „მას უსიტყვოდ უჭერებდნენ, რადგან მისი პიროვნების მიზიდველობა საოცრად დიდია, — წერდა ნ. რიმსკი-კორსაკოვი: — იგი იყო ახალგაზრდა, ამშვე-

ნებდა შესანიშნავი ანთებული თვალები, ლამაზი წვერი, ლაპარაკობდა მტკიცედ, ავტორიტეტულად და პირდაპირ, ყოველ წუთს მზად იყო ფორტეპიანოზე მშვენიერი იმპროვიზაციისათვის, ახსოვდა მისთვის ცნობილი თითოეული ტაქტი, წამიერად შესრულებული თხზულებანი. იგი თავისი მიზიდველობით შესანიშნავ შთაბეჭდილებას ახდენდა“.

მ. მუსორგსკი მრავალი წლის მანძილზე განიცდიდა ბალაქირევის შეხედულებათა შემოქმედებას, მოხიბლული იყო მისი ძლიერი პიროვნებით და ანგარიშს უწევდა მას, როგორც თავის ხელმძღვანელს. ბალაქირევის უშუალო გავლენით მუშაობდნენ კომპოზიტორებიც ა. ბოროდინი, ც. კიუი, სხვები. ბალაქირევი გავლენას ახდენდა მისი წრის გარეთ მყოფებზეც. მაგალითად, მისი ურთიერთობა პ. ჩაიკოვსკისთან იმის პირდაპირი შედეგია, რომ ჩაიკოვსკიმ მიმართა საპროგრამო-სიმფონიური ნაწარმოებების ქანრს („რომეო და ჯულიეტა“ უვერტიურა, ფანტაზია, სიმფონია „მანფრედი“). ბალაქირევთან ურთიერთობის დროს დაიწყო თავიანთი შემოქმედებითი მოღვაწეობა ა. გლაზუნოვმა, ა. ლიადოვმა, სხვებმა.

1862 წლის ზაფხულში 25 წლის ბალაქირევი, ნიჟეირი პიანისტი-ვირტუოზი და კომპოზიტორი, შექსპირის ტრაგედიის „მეფე ლირის“ მუსიკის რუსულ ხალხურ თემებზე პირველი უვერტიურისა და სხვა ნაწარმოებების ავტორი, ჩამოდის პიატიგორსკში. იგი გულის სიღრმემდე შესძრა პორიზონტზე ყინულოვანი მთავრებილებისა და პიატიგორსკის მისადგომებთან ერთად იანთოვლიანი იალბუზის დანახვამ.

პიატიგორსკში იცხოვრა რამდენიმე დღეს. აქედან გაემგზავრა ესენტუქში, ევლოზნოვოდსკში, კისლოვოდსკში. მკურნალობდა და სწავლობდა აღმოსავლურ მელოდიებს. „სტავროპოლის გუბერნიაში გავლის დროს მან გაიგონა მოკლე მელოდია, რომელსაც რომელიღაც ტენორი მთვარიან ღამეში მღეროდა იმ დროს, როცა ცხენებს ცვლიდნენ. შემდეგ ეს მელოდია უფრო ფართოდ განვითარებული შევიდა ბალაქირევის სიმფონიის „ანდანტეში“, წერს გ. ტიმოფეევი თავის მრავალტომიან შრომაში „ახალი რუსული მუსიკის დამახასიათებელი ნიშნები“. რომელიც 1906 წელს გამოიცა. „ამას წინათ ისევ გადავიკითხე მ. ლერმონტოვის „ჩევინი დროის გმირი“ და ისე ვიყა-

ვი ალტაცებული, რომ პიატიგორსკში ყოფნის დროს მთელი დღე დავდიოდი მის მიერ აღწერილ ადგილებში“, — წერდა ბალაქირევი ც. კიუის, ხოლო სტასოვისადმი გაგზავნილ წერილში აღიარებდა: „როცა პიატიგორსკში ვსეირნობდი მღვიმესთან (სცენა ვერასთან), ეოლოვის არფაში, ვგრძნობდი ლერმონტოვის აჩრდილს — იგი თვალწინ მედგა“.

ლერმონტოვი ბალაქირევისათვის, განსაკუთრებით კავკასიაში ყოფნის დროს, ნამდვილი ღმერთი გახდა ლიტერატურაში. ლერმონტოვის ლექსებზე მან დაწერა შესანიშნავი რომანები „სელიმის სიმღერა“, „ოქროს თევზის სიმღერა“ (პოემა „მწირიდან“). ლერმონტოვის ლექსმა შთააგონა ბალაქირევი, შეექმნა სიმფონიური პოემა „თამარი“.

მეორედ ბალაქირევი კავკასიაში ჩამოვიდა 1863 წლის მაისში. მოგვიანებით მუსიკალურ კრიტიკოსთან ვ. გლეხოვთან საუბრის დროს, მან პირველად თქვა, რომ დაინტერესდა ქართული მუსიკით და უკვე დიდი ხანია აგროვებს ქართულ მელოდიებსა და სიმღერებს. გლეხოვის შენიშვნის პასუხად, რომ რუსული ხალხური სიმღერები „მეტისმეტად ერთფეროვანი, ნაკლებ მელოდიურია, ზოგჯერ კი პირდაპირ კაეფონიური, ბალაქირევი უპასუხა: „კავკასიაში ყოფნის დროს... პირველად სწორედ ასეთი შთაბეჭდილება შექმნა ქართველი გლეხების სიმღერების გაგონებაზე, მაგრამ როცა შემდეგ დეტალურად გავერკვიე მოტივებში და ჩავწვი... ამ სიმღერების სულს, ალტაცებაში მომიყვანა მელოდიების სიმდიდრემ და თავისებურებამ...“

1860 წლის აგვისტოს დამდეგს ბალაქირევი კისლოვოდსკიდან თბილისში გამოემგზავრა. იგი ვლადიკავკაზიდან საქართველოს სამხედრო გზით მოდიოდა. დარიალის ხეობამ მას შთააგონა მეორე თემა მუსიკალური სურათიდან „1000 წელი“ („რუსეთი“), როგორც თვით ბალაქირევი ამბობს თავის დღიურის ჩანაწერებში. ე. რეისისადმი წერილში კი იგი შენიშნავს: „იქაური დიდებული ბუნების გრანდიოზულმა სილამაზემ... ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, და მაშინ ჩავიფიქრე დიდი საორკესტრო თხზულება ამ შთაბეჭდილებების გამოსახატავად, რომლის მაშინვე დაწყება ვერ გავებდე, რადგან ვგრძნობდი, რომ მზად არ ვიყავი ამისათ-

ვის“. ბალაქირევის მხედველობაში ჰქონდა სიმფონიური პოემა „თამარი“.

თბილისში ყოფნისას ბალაქირევი დაუცხრომლად სწავლობს ქართული ხალხური ძუსიკის ნიმუშებს. „მთელი ზაფხული კავკასიაში გავატარე, — წერს იგი ნ. რიმსკი-კორსაკოვს. — ვიყავი თბილისში, ჩავიწერე მრავალი ხალხური ქართული სიმღერა. ამ სიმღერებს ახასიათებთ სინაზე, იდეალობა, სინატიფე, გრაცია, ზოგჯერ ძლევამოსილებაც...“

ც. კიუის სწერს: „თბილისში ქართველი ეროვნების პარტიზანი ვაგხდი... მისი სიმღერები ძალიან მომწონს, მე ქართული ანბანიც კი ვისწავლე...“ ა. ვსევოლოვსკისადმი წერილში, რომელიც დათარიღებულია 1864 წლის 10 აპრილით, იგი ამბობს, რომ თბილისში შეაგროვა „უმშვენიერესი ქართული მელოდიების პატარა კოლექცია“.

ბალაქირევის არქივში დაცულია მრავალი, დღემდე შეუსწავლელი კავკასიური ხალხური სიმღერა, მათ შორის ალექსანდრე ჰავჭავაძის სიმღერაც „მუხამბაზი ლათიური“, რომელიც ბალაქირევის ჩაუწერია 70-იან წლებში. მაგრამ რადგანაც ეს ლექსი მას სხვადასხვა მომღერლისაგან ჩაუწერია, ამდენად დარღვეულია ლექსის ავტორისეული თანამიმდევრობა და სიტყვებიც დამახინჯებულია. მ. ბალაქირევის არც სცოდნია, რომ ტექსტის ავტორი ა. ჰავჭავაძე იყო. ნოტებზე გადაღებულია სულ სამი ტაეპი. სიტყვები „ლოთებო, ნეტავი ჩვენა, არილალი, დღეს მოგვეცა შვება-ლხენა, თარიარალი“ დაწერილია რუსული ასოებით.

თბილისის კონსერვატორიის ბიბლიოთეკის არქივში შენახულია მ. ბალაქირევის ხელნაწერი: „ქართული სიმღერის“ (ა. პუშკინის სიტყვებზე) ორკესტრირება.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტში (პუშკინის სახლი, ფონდი 162) ინახება მოსაწვევი ბილეთი ბალაქირევის სახელზე, რომელსაც სთხოვენ, დაესწროს თბილისში მცნოვრებ არშაკუნის სახლში საღამოს, რომელზეც იქნება მეფის მემკვიდრე. მიწვევა დათარიღებულია 1864 წლის 1 სექტემბრით. პირველი სექტემბრით არის დათარიღებული ცნობა იმის შესახებაც, რომ ბალაქირევი ჩაიწერა „ქართული სიმღერა“ („ლექტებონე“) ოპერადან „ფასკუნჯი“, ხმისა და ფორტეპიანოსათვის ქართული ტექსტით.

ლენინგრადის ლიტერატურის ინსტიტუტის არქივში პიპინის წერილებს შორის (პიპინის არქივი), ინახება ბალაქირევის მიერ ნაგარჯიშევი ქართულ ენაზე. მას დაწერილი აქვს მრავალი სიტყვა და ნაცნობების გვარები ქართულად (მაგალითად, ბილიკი, ბოტკინი, ვალობა, ბარათი, დროშა, თათარი, პატარა ქალაქი, ბებერი. გენებოს, კომისარჟევსკი, კალინინ, დეგილოვ, ჩისტოვიჩი, ალენიკოვ ლუსაკოვსკი და სხვა).

1863 წლის 8 ოქტომბერს სტასოვისადმი წერილში ბალაქირევი წერს: „წარმოდგენა რომ იქონიოთ ქართულ ასოებზე ქართულად მოვაწერ კიდევ ხელს“ (წერილზე მოწერილია მ. ბალაქირევი ქართულად). რიმსკი-კორსაკოვს წერილში ბალაქირევი ასე მიმართავს: „ძვირაფსო ნიკო“

და ფრჩხილებში დასძენს ეს სახელი ქართულად ასე წარმოითქმებაო. ასეთივე მიმართვით იწყებს ის რამდენიმე სხვა წერილსაც.

თბილისში ყოფნისას ბალაქირევი კოჯორში გაიცნო ახალგაზრდა ქართველი მედღექნე, რომელიც ძალიან კარგად ასრულებდა ქართულ სიმღერებს და თან უკრავდა ფანდურს. მან იმდენად აითვისა მისი სასიმღერო კილო, რომ თავისუფლად შეეძლო ხალხური საკრავების მსგავსად როიალზე იმპროვიზაცია. მოგვიანებით გაიხსენა, რომ ერთხელ მთიელ გლეხთა ჯგუფი გაოცებული გარს შემოერტყა, როცა იგი პიანინოზე მათ მშობლიურ მუსიკას ასრულებდა.

საქართველოდან პეტერბურგში ჩასულმა ბალაქირევი შექმნა „ქართული სიმღერა“ („ნუ იმღერ ჩემთან, ლამაზო ქალო...“). იგი სტასოვსა და კიუის აუწყებს, რომ რომანსი პირადად მას მოსწონს. „ქართული სიმღერის“ თავდაპირველი ვარიანტი მან შეთხზა ხმისა და ორკესტრისათვის. სამწუხაროდ, რომანსის ეს ვარიანტი არ არის აღმოჩენილი.

საქართველოში მესამე ჩამოსვლის დროს, 1868 წელს, ბალაქირევი განიზრახა დასახლებულიყო თბილისში და დაეფუძნებინა აქ რუსული მუსიკალური საზოგადოების კავკასიის განყოფილება. ამის გამო ბალაქირევი ესაუბრა კავკასიის თვით მეფისნაცვალს თავად მიხეილ რომანოვს, რომელიც მტკიცედ შეპირდა „ყოველნაირ ხელშეწყობას“ დიდ ფრანგ კომპოზიტორ ჰექტორ ბერლოიზისადმი წერილში ბალაქირევი მას უთხოვს აზრებს, რომ სურს აღმოსავლეთის ხალხები აზიაროს ევროპული მუსიკალური კულტურის მწვერვალს. „იქნებ უკვე მომავალ გაზაფხულზე თბილისში — კავკასიის დედაქალაქში — ქართველები, სომხები, სპარსელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები... პირველად მოისმენენ ჩემი ხელმძღვანელობით ბეთჰოვენის, შუმანის, გლინკას, ფრ. შუბერტის და, ბოლოს თქვენს მუსიკასაც, რომელსაც ასე პატივს ვცემ“.

საქმეს სერიოზულად ჰკიდებს ხელს, ადგენს მუშაობის გეგმას. ასახელებს კანდიდატურებს ხელმძღვანელ თანამდებობებზე, იზიდავს ადამიანებს მუშაობაში. იმათ შორის, ვინც ეს ინიციატივა გაიზიარა, იყო იმ წლებში ცნობილი მომღერალიც, ბალაქირევის მეგობარი ლ. ი. კარმალინა. 1864 წლის ოქტომბერში იგი სინანულით სწერს ბალაქირევის, რომ „მის მიერ დაწყებული საქმის მოგვარება უფულობის გამო ვერ ხერხდება.“

ამჯერადაც საქართველოში ბალაქირევი ჩაიწერა მრავალი ხალხური მელოდია, რომლებსაც ხალისით ასრულებდა თავისი პეტერბურგელი და მოსკოველი მეგობრების წრეში. ამ მელოდიებს კომპოზიტორი წარმატებით იყენებს ზოგიერთ სხვათა შორის, თავის ყველაზე ცნობილ ნაწარმოებებში „ისლამეში“, „თამარში“. ფანტაზიაში „ისლამე“ აკადემიკოს ბ. ასაფიევის თქმით, „თავმოყრილია ბალაქირევის მთელი შემოქმედებითი ენერგია“, უდიდესი ძალით გამოვლინდა მისი ცხოვრების „გმირული არწივისებრი ხანა“. ფანტაზიის ძირითადი თემა გახდა ლეკურის რიტმით შესრულებული ხალხური ცეკვის მოტივი.


კომპოზიტორმა დიდი სინატიფით აღბეჭდა „ისლამეში“ ქართული ხალხური მუსიკის განუმეორებელი მხარისადაც კილოები, ალადგინა ქართული დამახასიათებელი მწვევე რიტმები, ხორცი შეასხა კავკასიური ხალხური საკრავების ტოკატურ, „დასარტყმელ“ ელერადობას. ამ პიესის ურთულესი ვირტუოზული ქარგა დღესაც დაუძლეველი დაბრკოლებაა შრავალი პიანისტისათვის.

ფართო სახელი მოიპოვა ბალაქირევის სიმფონიურმა პოემამ „თამარმა“. ეს არის კავკასიური შთაბეჭდილებების ნაყოფი, რომელიც დამუშავებულია ლერმონტოვის ლექსის პოეტური ქარგის მიხედვით. ამ ნაწარმოების დიდი ღირებულება და სიახლე, უწინარეს ყოვლისა, არის მისი მუსიკალური მასალა, რომელიც თითქმის მთლიანად აღსავსეა სასიმღერო-საცეკვაო ფოლკლორით. „თამარი“ ეძღვნება ვერენც ლისტს. მიძღვნის პასუხად ლისტმა ბალაქირევის მისწერა: „ჩემი სიმპათიები თქვენი ნაწარმოებების მიმართ ცნობილია. როცა ჩემი ახალგაზრდა მოწაფეები ცდილობენ მასიამოვნონ, თქვენ თხზულებებს მიკრავენ“. ეს ჩვეულებრივი ქაინაური არ არის. დასავლეთ ევროპის კომპოზიტორებთან ურთიერთობაში, იმ ავტორიტეტის შექმნაში, რომელიც 70-იან და 80-იან წლებში მოიპოვა დასავლეთში ახალმა რუსულმა მუსიკამ, „თამარმა“ არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ქართველი მუსიკალური მოღვაწეები, კომპოზიტორები, კრიტიკოსები ანგარიშს უწევდნენ ბალაქირევის ავტორიტეტს. უთუოდ საინტერესოა ცნობა იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის გარიჟრაჟზე დ. არაყიშვილი მოსკოვის ისტორიული მუზეუმის აუდიტორიაში დირიჟორობდა მოყვარულთა მომღერალ ვაჟთა გუნდს, რომელმაც შეასრულა ხალხური სიმღერები ბალაქირევის ჰარმონიზაციით. მანვე დაწერა სტატია „აღმოსავლური მელოდიები რუს კომპოზიტორთა ნაწარმოებებში“, მოკლედ დაახასიათა აღმოსავლური ელემენტები ფანტაზიაში „ისლამე“ და სიმფონიურ პოემაში „თამარი“. სტატია გამოქვეყნდა ჟურნალ „მუზიკა ი ჟიზნი“. ბალაქირევის ნაწარმოებებზე რეცენზიებს წერდა ა. რაზმაძეც.

ლენინგრადის თეატრალური და მუსიკალური ინსტიტუტის არქივში შენახულია ადრესი, რომელიც გაუგზავნეს ბალაქირევის 1906 წლის 21 დეკემბერს (მისი დაბადების სამოცდაათი წლის თავზე) „რუსული მუსიკალური გაზეთის“ რედაქციამ და თანამშრომლებმა. ხელისმომწერთა რიცხვში არიან ქართველი კომპოზიტორები მელიტონ ბალანჩივაძე და დიმიტრი არაყიშვილი.

ბალაქირევის მიერ რუსული და აღმოსავლური მელოდიების კულტივირება ყველა სახეობის მუსიკაში დაკავშირებულია რუსულ და აღმოსავლურ ფოლკლორთან, როგორც იმ წყაროსთან ურთიერთობა, რომელსაც უნარი შესწევს, განახლოს მუსიკალური ხელოვნება.



პირთ პეზი იყო ნელან კაბუა...

ეროვნული
ზიგლირთუქა

ზიგორი პაპუაზილი

ათორე წლის წინათ საგარეჯოელმა მშენებლებმა ძველი სახლის ნგრევისას კედლიდან ჩამოხიეს დასტამბული ქაღალდი, რომელზეც ნაცნობ გვარს მოჰქრეს თვალი და მეგადმომცეს. ქაღალდის ნაგლეჯზე ოთხი ფოტოსურათია გამოსახული და ასეთი ტექსტი იკითხება:

„კოლმეურნეობა „გასახლება“ კაკაბეთის პარტორგანიზაციისა და სას. საბჭოს წარმოდგენით შეგვაქვს საკ. კ. პ (ბ) მე-17-ე პარტიული სახელობის რაიონულ წითელ დაფზე.“

კოლმეურნეობამ 1933 წ. საზაფხულო თესვა დაამთავრა 2 დღით ადრე და 15 ჰექტარის გადაჭარბებით. ლეწვა 5 დღით ადრე. საშემოდგომო თესვა 7 დღით ადრე 117 პროცენტით. მოსავალი წინა წლებთან შედარებით გაიზარდა ოთხჯერ. ყველა ვალდებულებათა შესრულების და საჭირო ფონდების გამოყოფის შემდეგ წევრებზე შრომადღებების მიხედვით განაწილდა მოსავალი. შრომადღებზე შეხვდათ 6 1/2 კილოგრამი მარცვლეული და სხვ. პროდუქტები. 1933 წ. კოლმეურნეობაში შევიდა 39 მეურნეობა. უკეთაა გამოყენებული ქალთა შრომა. თესლი, მანქანა-იარაღები და მუშა-პირუტყვი მზადაა განაფხულის სამუშაოებისათვის.

კოლმეურნეობაში დამკვრელები არიან ტიტო პავლიაშვილი, პაპუაშვილი შაქრო, ნატო პავლიაშვილი. კატო პაპუაშვილი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე: ამხ. ქიტა პაპუაშვილი
საკოლმეურნეო პ/ურედის მდივანი: ამხ. ი. ქარსაულიძე“

დამკვრელებში მოხსენიებული ტიტო პავლიაშვილი და შაქრო პაპუაშვილი იდენი ხანია ამქვეყნად აღარ არიან, ხოლო ნატო პავლიაშვილი და კატო პაპუაშვილი, ღრმა სიბერეს მიღწეულნი, დღესაც სიამოვნებით იგონებენ იმ დღეს, როცა მართლა თავიანთი გარჯის ნაყოფად იმდენს იმკიდნენ, რამდენიც სჭირდებოდათ ახალჩამოყალიბებული კოლმეურნეობის წევრებს. ექვსნახე-

ვარი კილოგრამი მარცვლეული განაწილდა, იუწყება საბატიო დაფა და თუ გავითვალისწინებთ, რომ შრომადღე სამუშაოდღეს არ უდრიდა და ერთ სამუშაოდღეში მოწინავე კოლმეურნეს რამდენიმე შრომადღის გამომუშავება შეეძლო, დავინახავთ, რომ ტონობით მარცვლეული ერგებოდა ყოველ კოლმეურნეს. ასე, რომ მართლაც სასიამოვნო უნდა ყოფილიყო ამგვარი შრომა.

აქ მოხსენიებული კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქიტა პაპუაშვილი მამაჩემია. მანვე ჩამოაყალიბა ეს კოლმეურნეობა 1931 წელს და, როგორც ვხედავთ, აღმაჯობით წაუყვანია, რაკილა მოსავალი წინა წლებთან შედარებით ოთხჯერ გაზარდილა და მარცვლეულიც საკმაოდ განაწილებულა. აქ ამიტომ შეუტანიათ კიდევ რაიონულ წითელ დაფაზე.

რა მოხდა შემდეგ? მალე კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან გაანთავისუფლეს, მერე პარტიიდან გარიცხეს, ხოლო ბოლოს, 1936 წლის ნოემბერში, დააპატიმრეს კიდევ.

რატომ? იქნებ სტალინმა ბრძანა, საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში ქიტა პაპუაშვილმა რადგან კოლმეურნეობა დააწინაურა, დააპატიმრეთო? საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრება სტალინის აზროვნების ნაყოფი იყო (თუნდაც ძალიან ცუდი), და ნუთუ მასვე შეშურდა, ქიტა პაპუაშვილმა რატომ აჯობათ სხვა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს? რა თქმა უნდა. დაუჭერებელია. ეს მათ მოახერხეს მამაჩემის დაპატიმრება, ვისაც საკოლმეურნეო წყობილების გაძლიერება ხელს არ აძლევდა. ასეთები მრავლად იყვნენ, პირიპირს მისცეს და... აქ იწერებოდა კიდევაც მამაჩემი, თერთმეტი კაცის ხელმოწერაო ჩემს ბრალდებაზე და მათ შორის ჩემი ყოფილი მეგობრებიც არიანო.

როცა მამაჩემი დააპატიმრეს, ჩემი უფროსი ძმა ალექსი კომკავშირში აღარ მიიღეს, ტროცკისტის შვილი ხარო, მეორე ძმა კი სკოლიდან გამორიც-

ხეს აკადემიური ჩამორჩენილობის მომიზეზებით. ეს რომ შარის მოღება იყო, იქიდან გამოირკვა, რომ შემდეგ იმ სკოლის დირექტორიც დააპატიმრეს და ჩემი ძმა კვლავ დააბრუნეს სკოლაში, რომელიც ფრიადოსნის ატესტატით დამთავრა.

მანსოვს, მამაჩემი როცა თავმჯდომარედ იყო, კოლმეურნეობის ეზოში რომ შევრაცრაცდებოდი, გლეხები ხელში ამიტაცებდნენ-ხოლმე და ცდილობდნენ, რამითი ესიამოვნებინათ. მამაჩემის დაპატიმრების შემდეგ კი, ერთმა მაშინდელმა ბრიგადირმა, რომელიც დღეს ცოცხალი აღარ არის, ექვსი წლის ბიჭი ეზოდან გამომაგდო.

როცა რეაბილიტაციის ცნობა მივიღეთ, ის კაცი ისევ ცოცხალი იყო და მე კი ოცდაათ წელს ვიყავი გადაცილებული. მე, რა თქმა უნდა, ვუთხარი, როგორც კი შემხვდა, მამაჩემი რეაბილიტირებულია-მეთქი და მოიწუწუნა: „ვაიმე, ვაიმე, შვილო, მაშ, ტყუილად მოიღწეს ის მშრომელი კაციო.“ სხვამ კი, რომელსაც, რამდენადაც ვიცი, ხელი ჰქონდა მოწერილი მამაჩემის საბრალდებო ქაღალდზე, იწყინა კიდევ ჩემი ნათქვამი: — არა მჯერაო, ქაღალდი მომიტანე და მაჩვენეო. მე, რა თქმა უნდა, არ მიუტანე და არ ვაჩვენე, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან.

რეაბილიტაციის შემდეგ ხელახლა გამოვივლოვეთ მამაჩემი, როგორც უდანაშაულოდ დასჯილი კაცი, მაგრამ კიდევ არ მჯეროდა მისი სიმართლისა: მთლად უდანაშაულოდ როგორ დასჯიდნენ-მეთქი. საგარეჯოელმა მშენებლებმა რომ წითელი დაფა აღმოაჩინეს, მაშინლა ვირწმუნე. დღეს კი, როცა საჯაროობისა და მართლის თქმის დრო დადგა, ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ ყველას თავისი მივუზღაოთ და არ გადავაჭარბოთ. იმ წლების მსჯავრდებულთა შეფასებაში პირუთვნელი უნდა ვიყოთ და განუსჯელად არ ვაქებდეთ და ვადიდებდეთ ყველას. ისე არ გამოგვივიდეს, კაკო ყაჩაღი რომ ამბობს „ვით მეტი იყო წელან ძაგება, ისე მეტია ეხლა ეგ ქებაო“...

სხვისა არ ვიცი და, დღეს უფრო ვისჯები იმ წლებზე და-

წერილი გულის ამაჩუყებელი წერილების კითხვით. ეს მისთვის არის სულერთი, ვისაც არასოდეს განუცდია უსამართლობა. ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ უმეტესად მათ აიმაღლეს ხმა, ვის ოჯახებსაც რეპრესია არ განუცდია. ისინი გვაღიზიანებენ და გულის ჭრილობაზე დანას გვისვამენ. ადრე კი კეთროვნებით გვერიდებოდნენ და ტროცკისტების შვილებს გვიწოდებდნენ.

საერთოდ, ხომ არ გავგიგრძელდა ერთი და იგივე ლაპარაკი — სტალინი და მისი მოღვაწეობის პერიოდში დაშვებული საბედისწერო შეცდომების კრიტიკა მაქვს მხედველობაში. ამით ერთ ადგილს ხომ არ ვტკეპნით და დროს ხომ არ ვაკარგვინებთ ხალხს. წაგებულ საფენებურთო მატჩზე გაუთავებელი წუწუნის მსგავსად.

ეს ამბავი ერთი მეცხვარის ამბავს მაგონებს, მარტის ბოლოს რომ დიდი თოვლწყაბი დაიწყო, ნანესებ დღეებში ცხვარი გარეთ ვეღარ გამოუდიოდა. აღარც შინ ჰქონდა საკმელო და ფარეში კატა ჩამოჰკიდა გულთ. კატა გულაში აფხაჭუნებდა, დაფეთებული ცხვარი ამოუცოხნავად მას შეჰყურებდა და სამი დღის შემშლილი ვერც გაიგო. მაგრამ მოხერხებულმა მწყემსმა მხოლოდ სამ დღეს გააძლებინა მშიერ ცხვარს. მეტ ხანს თუ გაგრძელდებოდა, კატა გულაში ამოიხრჩობოდა, ფხაჭუნს შეწყვეტდა, ცხვარი ამოცოხნინდა, მოვიდებოდა და ბლავილს ატეხდა.

მე მგონია, დღეს ჩვენც ასე შევყურებთ გულთ დაკიდებულ კატას და მისი ფხაჭუნით ვერთობით. ბოლოს და ბოლოს კატა დაიხრჩობა, ხალხი ამოცოხნის და ბლავილი ატყდება. რამდენ ენერჯიასა და შრომასაც წარსულის კრიტიკის ვანდომებთ და ჩვენი თავის ქებაზე ვხარჯავთ, იმდენს რომ ეკონომიკის განვითარებასა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას ვანდომებდეთ, ფარეხის თავზე კატის ჩამოკიდება აღარ დაგვჭირდება და საბჭოური წარმოების სახელსაც ავამაღლებთ. თუმცა ხალხი უკვე „აბლაგლდა“...



ჩაის კულტურა კვლავ საქართველოს სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად რჩება. საქმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში წარმოებული პროდუქციის 18 პროცენტზე მეტი სწორედ ჩაიზე მოდის. რა დასაძლია, ახლო წარსულში რესპუბლიკის ხელმძღვანელები ჩაის წარმოების დარგში არასწორ გზას ადგენენ: ამ პროდუქციაზე ქვეყნის მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად დარგის მუშაკებს აიძულებდნენ, მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესების დარღვევით რაც შეიძლება მეტი ნედლეული დაემზადებინათ. ამან მომაკვნიებლად იმოქმედა ჩაის ბუჩქზეც და პროდუქციის ხარისხზეც.

ქართული ჩაის პრესტიჟი მკვეთრად დაეცა.

ჩაის ხარისხს ისიც აუარესებდა, რომ მისი წარმოების სფეროში ძალზე დაბალი იყო ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დონე. სწორედ ამიტომ თბილისის ქარხანა „საქსოფლმანქანას“, რომელიც ძირითადად ჩაის მრეწველობის და წარმოების სფეროს ემსახურება, უდიდესი ამოცანები აქვს გადასაწყვეტი. ქარხანა კი, სამწუხაროდ, გაკოტრების პირასაა მისული.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი **ზოთა ბაჯალიძე** ესაუბრა ქარხნის მთავარ ინჟინერს **ზოთა ელიაშვილს**.

კითხვა: ცნობილია, რომ ჩაის კულტურის მოვლა-მოყვანა და წარმოება მეტად შრომატევადია. ამავე დროს ამ სფეროში ჭერ კიდევ მაღალია — 40 პროცენტი! — ხელით შრომის ხვედრითი წილი. რა წვლილი მიუძღვის თქვენს ქარხანას ჩაის მრეწველობის მექანიზაციასა და ავტომატიზაციის საქმეში?

პასუხი: ჩვენი ქარხანა ერთადერთია კავშირში, რომელიც ჩაის კულტურის მოვლა-მოყვანის საქმეს ემსახურება. იგი ამჟამად 16-18 დასახელების სასოფლო-სამეურნეო მანქანასა და იარაღს უშვებს — ჩაის საკრეფი მობილური და ხელის აპარატები, კულტივატორი, ჩაის შპალერული, ნახევრადმძიმე და მძიმე სასხლავი აპარატები, ჩაის ფოთლის ტრანსფორმატორი და სხვა.

უკანასკნელ ხანს მცირეგაბარითანი შიგაწვის ძრავების დამზადების ტექნოლოგიაც ავითვისეთ. იგი იტალიური ლიცენზიის ბაზაზე შევქმენით და უნივერსალურია. ძრავები განკუთვნილია სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და კომუნალური მეურნეობის მცირეგაბარითანი მანქანებისათვის. ქარხნის პროდუქციის 95 პროცენტი რესპუბლიკაში რჩება. ასე რომ, სწორედ ჩვენი ქარხნის მიერ დამზადებულმა ტექნიკამ — კარგია იგი თუ ცუდი — გამოათავისუფლა ათასობით მეჩაიე ქალი ჩაის ხელით კრეფისაგან.

კითხვა: თქვენი შრომითი კოლექტივის წინაშე დიდი ამოცანებია დასახული, ქარხანა კი მწვავე ეკონომიკურ კრიზისშია და უკვე სერიოზულად დგას მისი ლიკვიდაციის საკითხი. რამ გამოიწვია ყოველივე ეს?

პასუხი: ქარხნის სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამ!

კითხვა: ნუთუ?

პასუხი: რაოდენ პარადოქსულადაც უნდა უღერდეს ნათქვამი, ფაქტი ფაქტად რჩება. ჩვენს მიერ გამოშვებული პროდუქციის ზოგიერთი სახეობა ზოგჯერ წამგებიანიც კია. თვითდაფინანსებაზე გადასვლამდე ამ დანაკლისს საკავშირო სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო ფარავდა. თვითდაფინანსებაზე გადასვლის დღიდან — 1988 წლის დასაწყისიდან კი სამინისტრომ ფინანსური დახმარება შეგვიწყვიტა. ეს მაშინ, როცა მომწოდებელმა ორგანიზაციებმა წინასწარ მოგვთხოვეს მასალეებისა და ნახევარფაბრიკატების ღირებულების გადახდა, რამაც რიტმიდან ამოაგდო საწარმო. ამას დაემატა ისიც, რომ საქაგრომრეწვი მეურნეობრიობის ახალ ფორმებზე გადასვლის გამო აღარ გვიკვეთავს იმ რაოდენობის ტექნიკას, რამდენსაც აღრე ვაწვდიდით. ამასთან თვეობით გვიკიანურებს და ვერ გვიხდის მიწოდებული პროდუქციის ღირებულებას.

მიმე საფინანსო მდგომარეობაში აღმოჩნდა თავად საკავშირო სამინისტროც, რომელსაც ჩვენი ქარხნის სამი მილიონი მანეთი ვალ ადევს და მხოლოდ ახლახან დაიწყეს მისი თანდათანობით გადახდა.

ქარხანაში არსებული 400 ჩარხიდან ნახევარზე მეტს კარგა ხანია გაუვიდა ექსპლუატაციის ვადა და საჭიროა ტექნიკური გადაიარაღება. მაგრამ საწარმოს ამის დონე არ შესწევს, ვინაიდან ჩარხები 5-6 ჯერ გაძვირდა. ამას ემატება ისიც, რომ დღეისათვის ტექნიკური აღჭურვილობის დამზადება და საიარაღო წარმოება მთელი ქვეყნის მასშტაბითაც კი მტკიცეული პრობლემაა, ხოლო უამისოდ წარმოუდგენელია ახალი ტექნიკის ათვისება. ასეთ პირობებში, ჩემი აზრით, თუ გვინდა რესპუბლიკა ნამდვილად გახდეს ეკონომიკურად დამოუკიდებელი, მაშინ სხვა მთელრიგ მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად, აუცილებელია საქართველოში აშენდეს სპეციალური საიარაღო ქარხანა და დაკომპლექტდეს თანამედროვე ტექნიკით. სხვაგვარად შეუძლებელი იქნება ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სახალხო მოხმარების საქონლის ზრდა, კოოპერატიული წარმოების განვითარება...

კითხვა: რაკი სიტყვა რესპუბლიკის ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე ჩამოვარდა, გთხოვთ, როგორც სპეციალისტმა, განვიმარტოთ: როგორც ბრძანეთ, თქვენი ქარხანა მთელი ქვეყნის სხვადასხვა საწარ-

მოებიდან იღებს ნედლეულს და ნახევარფაბრიკატებს, ანალოგიურ მდგომარეობაშია რესპუბლიკის თითქმის ყველა საწარმო. ეს გადაულახავ დაბრკოლებად ხომ არ იქცევა საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე?

პასუხი: ასეთი ეჭვი ხშირად გაისმის ჩვენს პრესაში. ზოგი იმასაც კი მოითხოვს, რომ რესპუბლიკის ყველა საწარმოსათვის საჭირო მოწყობილობა და ნახევარფაბრიკატები რესპუბლიკაშივე უნდა მზადდებოდეს. მათი აზრით, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ნამდვილი დამოუკიდებლობის მიღწევა. სწორედ ამასვე იმიზეზებენ რესპუბლიკის სუვერენიტეტის მოწინააღმდეგენიც. მაგრამ მათი მოსაზრება, რა თქმა უნდა, მცდარია. ისეთი მძლავრი ქვეყანა, როგორც იაპონია, ნედლეულის სამ მეოთხედს საზღვარგარეთიდან იღებს, მაგრამ განა ამის გამო იგი ეკონომიკურად და პოლიტიკურად დამოუკიდებელი არ არის? ანდა რატომ უნდა დაიკეტოს რესპუბლიკის საზღვრები, თუ ეს მის სასიცოცხლო ინტერესებს ეწინააღმდეგება? კავშირი საწარმოებს შორის არ გაწყდება, თუ ეს ორივე მხარისათვის მოგებებიანი იქნება. ოღონდ მათი ურთიერთობა მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების კარნახით არ უნდა ხდებოდეს. როგორც ეს ახლანამდვილი დამოუკიდებლობის პირობებში დამყარდება პირდაპირი კონტაქტები საწარმოებს შორის ამა თუ იმ პროდუქციაზე მოთხოვნილებების შესაბამისად, რასაც განსაზღვრავს ბაზრის კონიუნქტურა და არა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური პრაქტიკა.

კითხვა: თქვენი საუბრიდან ნათელი ხდება, რომ საჭირო ყოფილა ქარხნის გაზრდა-გაფართოება და არა მისი ლიკვიდაცია. არადა, საწარმო სამეურნეო დამოუკიდებლობის პირობებში აუცილებლად მომგებიანი უნდა გახდეს. თქვენი აზრით, რა გადაუდებელი პრობლემებია გადასაწყვეტი ქარხნის ჩიხიდან გამოსაყვანად?

პასუხი: როგორც ვთქვით, ჩვენი საწარმო ერთადერთია საბჭოთა კავშირში ჩაის მოვლა-მოყვანის მექანიზაციის საქმეს რომ ემსახურება და, ალბათ, დიდხანს დარჩება იგი ასეთად. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს მიერ გამოშვებული პროდუქცია სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ამიტომ საჭიროა ქარხნის ძირფესვიანი მოდერნიზაცია, გამოსაშვები პროდუქციის კონსტრუქციული დახვეწა. ერთი სიტყვით, ხსნა ტექნიკურ პროგრესში! გამოსაშვები პროდუქციის ნომენკლატურის უსაზღვროდ გაფართოებისა და წვრილსერიულობის გამო ქარხნის ეკონომიკური მაჩვენებელი ძალზე დაბალია. რესპუბლიკის სახაგრომრეწვისათვის კი მთავარი ჩაის ტექნიკის წარმოება-მიწოდებაა. აქ გამოსავალი შემდგომად მესახება: ჩვენი ქარხნის ფი-

ლიალებად უნდა გადაკეთდეს დასავლეთ საქართველოში მდებარე დაუტვირთავი სარემონტო და მექანიკური ბაზები; სწორედ იქ უნდა მოხდეს ტექნოლოგიურად სრულყოფილი მანქანების გამოშვება და მათი ტექნიკური მომსახურება, რითაც წარმოება ტერიტორიულადაც დაუახლოვდება მეჩაიეობის რაიონებს. გარდა ამისა, შესაძლებელი გახდება წარმოების სპეციალიზაცია და ტექნიკურ-ეკონომიკური გაუმჯობესებაც.

ჩვენმა ქარხანამ, როგორც აღვნიშნეთ, ათვისა მცირეგაბარიტიანი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანების შიგაწვის ძრავი იტალიური ფირმის „აკმეს“ ლიცენზიით. ასეთ ძრავს კავშირის მასშტაბით პირველად ჩვენ ვუშვებთ. იგი მეტად პრესტიჟულია და მოითხოვს წარმოების მაღალ კულტურას. მიუხედავად ჩვენი დაქინებული თხოვნისა — რაც შეიძლება მეტი გამოგვეშვა ასეთი ძრავები — საკავშირო სამინისტრომ მისი წარმოება მხოლოდ 10 ათასი ცალით განგვისაზღვრა. მასზე მოთხოვნა კი დღითი დღე იზრდება და 1990 წლისათვის 40-45 ათასს მიაღწია, ხოლო 1995 წლისათვის 100 ათას გადააჭარბებს. ამიტომ საჭიროა სათანადო სიმძლავრეების დაუყოვნებლივ გაზრდა. ამ საკითხზე კომპლექსური ღონისძიებების პროექტი დიდი ხანია წარდგენილია საკავშირო სამინისტროში, მაგრამ პასუხი ჯერაც არა ჩანს. ამ პრობლემის დაუყოვნებლივ გადაწყვეტა ქარხანას მძიმე ეკონომიკური კრიზისიდან გამოიყვანს და ქვეყნის გაზრდილ მოთხოვნებსაც დააკმაყოფილებს შიგაწვის აღნიშნულ ძრავებზე.

ბოლოს, მეტად მნიშვნელოვანია კადრების საკითხიც. ქარხანა განიცდის კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მუშების ნაკლებობას. უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაზარდა დენადობაც. მრავალმა ჩვენმა მუშაქმა კოოპერატივებს მიაშურა.

კითხვა: რაკი კოოპერატივი ახსენეთ, ხშირად ჩამორჩენილი ხაწარმის ხელმძღვანელი ცდილობს, ყველაფერი კოოპერატივებს გადააბრალოს, ხოლო ზოგიერთი მათგანი კოოპერატივების ლიკვიდაციასაც კი მოითხოვს. თქვენ რა აზრისა ხართ?

პასუხი: რატომ გარბის მუშა კოოპერატივში? იმიტომ, რომ იქ უფრო მეტი ანაზღაურება აქვს! ამ შემთხვევაში გამოსავალს ახალი გზების ძიება-დანერგვაში ვხედავ. ჩვენს საწარმოში ორი დამხმარე უბანი წარმოების კოოპერატიულ ფორმებზე გადავიყვანეთ და შედეგიც კარგი მივიღეთ. ვფიქრობთ, ცალკეულ სამჭროებშიც აქტიურად დავნერგოთ ასეთი ფორმა.

შანსგრაუნდი



შუახნის, ჭაღარა, შავ, გაცრეცილ პალტოში გამოხვეული კაცი სარდაფის კიბეზე შედგა, საყელო ჩამოიწია, ჩახედა თამბაქოს ბოლით, ხახვისა და ნივრის სუნით ამოვსებულ სასაუზმეს, სადაც ხუთ მაგიდას ოცდაათამდე კაცი უსხდა. არც ერთ მაგიდასთან ცარიელი ადგილი არ იყო. ამ კაცს ახსოვდა, რომ ეს სარდაფი, რომელსაც უწინ რესტორანი ერქვა, ფიროსმანის ფრესკებით იყო მოხატული. ქუჩის გადაღმა, პირდაპირ, ასეთივე სარდაფი-რესტორანი გახლდათ. ერთს ერქვა „სიმპატია“, მეორეს „ოლიმპია“. მხოლოდ ის აღარ ახსოვდა, რომელი რომელი ერქვა. გადაღმა სარდაფი აეჭედათ, საწყობად უქციათ, ალბათ კარი შიდაეზოდან ექნებოდა. ნაფიროსმანალ სარდაფში კედლებზე ფრესკები აეფხიკათ და ძველი სახელიც აღარ ერქვა. უკან გაბრუნებას აპირებდა, შეეყოყმანდა. ახლო მაგიდიდან მელოტმა ამოსძახა:

— ჩამოდი, შევეწროვდებით.
 — მადლობას მოგახსენებთ.
 — აგერ დაჯექი, — წამოდგა, მებუფეტეს ცარიელი ყუთი გამოართვა, სიმაღლეზე დადგა და დაჯდა.
 — ასე როგორ იქნება?
 — არც როგორ. შენ თავს შენ თვითონ მოემსახურე.
 — ასე ვიზამ. — მწვანე საქალაღე ჯორჯოზე დადო, მელოტს შეხედა, დააკვირდა. არასოდეს არ ენახა ასე ხშირი ნოჰქებით დაქსელილი პირისახე, თითქოს ბადე ჰქონდა ზედ გადაკრული. აიღო სასმელ-საჭმელი, მრეცხავ ქალს ჭიქა მეორედ გაარეცხინა. დაჯდა თუ არა, იმწუთსავე სავსე ჭიქა არაყი გამოცალა. დაწყნარება და გათბობა უნდოდა. რედაქციიდან გულმოსული გამოვარდა. რედაქტორს ბევრი სააუგო სიტყვა უთხრა, მაგრამ არა უკადრისი. საბოლოოდ ისიც კი უთხრა, რომ იგი აქ სხვისი ხელის წაკვრით მოხვედრილი კაცია და, როგორც ლიტერატორი, ყველა თავის ხელქვეითზე დაბლა დგას. ერთი ლექსი და ერთი მოთხრობაც კი არ დაუწერია და მხოლოდ დედ-მამის ლიტერატურული ავტორიტეტით სარგებლობს. დედამისი იყო უზენაესი ლექსების ავტო-

გოგი მაისურაძე


მოთხრობა

რი, მამა კი უხვლექსიანი პროლეტარული მგოსანი.

რედაქტორმა მისი მოთხრობა იმით დაიწუნა, რომ ამბავი ფანტასტიურიაო. კაცმა რომ თქვას, ეს მართლაც ასეა, მაგრამ რა არი ცუდი ამბავი. მთავარი მოქმედი გმირი თვითონ მწერალია და იგი შემთხვევით გაიცნობს მეცნიერს, ბიო-ფიზიოლოგს. დაეზადება აზრი, მას შესთავაზოს, შექმნას პრეპარატები „ემოციონი“, სხვადასხვა მგრძნობიერი ზემოქმედებისა. მწერალი ეუბნება მეცნიერს, რომ ბავშვობაში პიპილისგან დანადგენმა ცრემლებმა და სკოლაში ნასწავლმა „სიცილის გაზმა“ მიიყვანა ის ამ იდეამდე. პირობას აძლევს, თავისთავზე გამოცდის ემოციონს. მწერალს შეუყვარდება მეცნიერის ასული, მეცნიერის ცოლს კი მწერალი. ბოლოს მწერალი თავს იკლავს უიმედოდ შეყვარებულში. მეცნიერი გახარებულია, თავი დაიხსნა მწერლისგანაც და „ემოციონიც“ მხოლოდ მას ეკუთვნის...

— ახლავაზრდავ, გაგიმარჯოს! — მიმართა პირსახედანაოჭებულმა მელოტმა და ჭიქა ჭიქაზე მიუტაკუნა.
 — გაგიმარჯოს, — უპასუხა.
 — გაგიმარჯოს! — მიმართა მეორემაც, მანაც ჭიქა მიურტყა.
 — ორივეს გაგიმარჯოთ! — სხვები წასულიყვნენ. მწერალს კვარის საამო სურნელი სცემდა. მელოტმა თეფშით გაფცქვნილი, შებოლილი თევზი მიაწოდა:
 — რებეცია.
 — მშვენიერი რამაა.
 — მაშ, მაშ, მშვენიერია.
 — ჩანს დიდათა ხარ გაბრაზებული ჰკითხა მელოტმა.
 — დიახ, ასეა... როგორ მიხვდით?
 — ხომ არ გვეტყვიოთ, რამ გაგაბრაზათ? — ჰკითხა მეორემ.
 — რატომ არა, გეტყვიოთ. ჯერ თითო დავლიოთ.
 — უნდოდა არაყი დაესხა, იუარეს, ღვინოსა ვსვამთო. წამოდგა. რომ მებუფეტესათვის ღვინო გამოერთმია.
 — კარს ვკეტავ, — ცივად მიაგება მებუფეტემ.
 — დაკეტე რა!
 — რას უარობ, მიეცი, — დაუძახა მელოტმა. თანაც დასძინა, თუმცა აღარ იყო საჭირო.
 — დაჯდებით მთელ საათს.
 — ნუ გვაყვებდრი, თუ კაცი ხარ, — უთხრა მწერალმა.
 — სახლში ვეღარ წავსულვარ.
 წინააღმდეგობის მიუხედავად, მებუფეტემ მაინც მისცა ღვინო. მწერალმა მიიტანა მაგიდაზე. არაყი გვერდზე მიდგა და ღვინო დაასხა.
 მელოტმა უთხრა:
 — მაინც არ იყო საჭირო.

საქ. სსრ კ. მარქსის
 სახ. სახ. რესპუბ.
 გ. გლ... თმია



— რატომ, მე ხომ უნდა ვითხარათ, რატომ ვარ გაბრაზებული.

— ჩვენ ბევრის სმა აღარ შეგვიძლია. მეზუფეტეც აღარ გავგაჩერებ, — თქვა მელოტმა. იგი უფრო მოლაპარაკე ჩანდა, ვინც მისი ამხანაგი.

— ერთი-ორი სიტყვა გვითხარ, — მიმართა მწერალმა მელოტს.

— მეზუფეტეს უყვარს სადღეგრძელოს მოსმენა, პირველზე იქნებ გაბრაზდეს, რადგან გვიანია, მაგრამ მერმეთ კი მოიხიბლება, — საუბარში ჩაერთა ის მეორე.

— თქვენ ჩემზე უფროსები ხართ, ჩემზე ავიც და კარგიც მეტი გინახავთ. იდღეგრძელეთ, — კაცმა თავისი თავი თანამესუფრეებს წარუდგინა. მათი ვინაობაც შეიტყო. ერთ-მთავანს, შედარებით ახალგაზრდას, გიგლა ერქვა. წინაპრები მეზადურები ჰყოლია. თვითონ იეთიმ-გურჯის ენით ლექსაობდა. მეორე, ლუტუნისა რომ ეძახდა გიგლა, უფრო ჭარბად ვახლდათ, სემინარიელი.

მწერალმა საბოლოოდ თქვა ბრაზის მიზეზი, მცირე დუმილის შემდგომ გიგლამ უთხრა:

- გასართობი მოთხრობა.
- რატომ? მარტო გასართობი?
- დასაწერი სხვა არაფერია?
- აღარაა სიუჟეტები, ამბები, მარტო ომსა და შრომაზე წერა, როდემდის?
- როდის მოვრჩებით? — იკითხა მეზუფეტემ.

— დაიცა ცოტახანს... ერთ ამბავს მოგიყვები, იქნებ დასაწერად გამოვადგეს. მანამდის სადღეგრძელოს ვიტყვი. გაჭირვებულ და მართალ კაცს გაუშარჯოს, — წარმოთქვა გიგლამ. ოთხკედელიც ახსენა. ლუტუნისამ დაუმატა.

— მანთაშოგმა საგუბერნიო საპყრობილეს ბორკილები შესწირა. აღარ მახსოვს, რამდენი იყო, მგონი ათასი ცალი.

— ჰოო, ეგრე იყო... მე იმ ამბავს მოყვები. ის ბორკილი ამასაც ედო კარგახანს, რევოლუციური მოღვაწეობისათვის, — ლუტუნისაზე მიუთითა.

სასაუბრეში ეზოდან ჭაღარა კაცი შევიდა. მეზუფეტე არ გაწყრომია. გვერდითა მაგიდიდან მიიწვიეს და ჩაის ჭიქით არაყი მიაწოდეს.

- ერთი ლექსი გვითხარ.
- დაიცა, ჯერ დალიოს.
- გაგიმარჯოთ, გმადლობთ...
- გმადლობთ, ჩემი ნორმა დავლიე, — თავი მოიდრიკა და ისევ ეზოსკართ გავიდა. გიგლამ თქვა:
- კიდევ ერთი ნიჭიერი კაცი ილუბება. მამამისი კარგი ნოველისტი იყო.
- რუსულად თხზავს ლექსებს? — ჰკითხა მწერალმა.
- დიახ. ყველას თავისი ცხოვრების გზა აქვს, ზოგს საცალფეხო, ზოგს შარავზა ან გამზირი... მწერალო, ამ კაი კაცს ჩემი სისხლი მართებს და ერთი კიდევ... ციხეში ჩასმა.
- რააა, ნიკოლოზასდროინდელ ვალსა მთხოვ?
- კეთილი, ციხის ვალს არა გთხოვ, დროთა ცვალებადობამ გააბატია. მხოლოდ სისხლის საურავი ახლაც ძალაშია. ისე კი ვალი ვალია.
- ხუმრობთ თუ, — იკითხა მწერალმა.
- აბა, მწერალო, ყური დამიგდე. ცხრა-ას თექვსმეტი წელია, დახლში ვვაჭრობ. მყიდველები მახვევია, ვემსახურები. ვილაც მეუბნება, სავარცხელი მომეცითო. რადგან მასზე წინ სხვები იღვანენ, ყურადღება არ

მივაქციე. შენ მე რა აბუჩად მიგდებ, შე შობელძაღვრო.

— ჰოოო. ასე იყო. — უპასუხა ლუტუნისამ.

— იქნებ ვამეტებ?

— არა, არ ამეტებ.

— აბუჩად არ გიგდებ-მეთქი. ეს მუშტრები შენზე ადრე მოსულან. ჯერ ამათ გავისტუმრებ, მერმეთ შენ-თქო. ეგ კი ცქმუტავს, არ ისვენებს. ავიღე და ძვლის მოვერცხლილი ტანტრაბეჩი მივაწოდე.

— მაპატიე, მაგრამ რააა ტანტრაბეჩი? არ ვიცი...

— კბილების საჩიჩქნი. მაგანაც მკითხა, ეს რააო. ვუპასუხე, როგორც შენ გიპასუხე ახლა. შენ, რა დამცინიო? დამიყვირა. ასე იყო, ხომ არ ვამეტებ?

— არა, ასე იყო, არ ამეტებ.

— შენ მე რა, მშიერად მთვლი და დამცინიო? ვუპასუხე რომ დიდი თმა და წვერი გაქვს, სოციალისტი იქნები, ფიშტო გექნება და აქ არ მესროლო-მეთქი, ავხტი და თედოზე ხელი დავირტყი. ამ დროს კიდევ გავარდა. ხელი გამიხვრიტა და ტყვია თედოში ვაერტყო. ხომ ასე იყო.

— ასე იყო, მართალია.

— ხომ არ გადამიმეტებია? მასუკან აღარ მინახავს, მანამდის, სანემდის... ხეიბრად ვიქეც... აგერ, სულ ორი წელიწადია, ერთ სახლში მეზობლებად ვცხოვრობთ, კარის მეზობლებად.

— აქამდე ერთმანეთს აღარ შეხვედრიხართ?

— როგორ არა. მაგას ბოლო სათქმელად ვინახავ.

— იქნებ თითოც დავლიოთ? — იკითხა მწერალმა.

— სადღეგრძელო თქვით.

— რა ვთქვა? იქნებ თქვენი კეთილი მეზობლობის სადღეგრძელო დავლიოთ? იმეზობლეთ და იხარეთ.

— სისხლის საურავი ვაპატიო?

— რას იკვირებ ეს საურავი?

— ხევსურებმა მგონი ახლაც იციან. რამდენჯერ ვუთხარი, ვხუმრობ-მეთქი და მაგას მაინც არა სჯერა.

— აბა, რამდენი წელიწადია მაგას მიჩიჩინებ, მის უკან ხევსურებმა გადაადგეს სისხლის საურავიცა და სხვა რამეებიც. შენ კი ისევ ისე გაიძახი.

— ჰოდა, მოხდა რევოლუცია. გაიარა დამოუკიდებელი რესპუბლიკის დრომ. დამყარდა საბჭოები. ერთხელ ქუჩაში მაჩერებს ჩვენი უბნის ახალდანიშნული მილიციის უფროსი, მეკითხება: შენ ამა და ამა ადვილას ნოქრად არ მუშაობდიო? ვპასუხობ, დიახ-მეთქი.

ვიცანი, ვინც იყო. ის კი თითქოს, ვერცა მცნობს. ხომ ხვდებით, მაშინ საშიში დრო იყო. ყველასთვის შეიძლებოდა რაღაცის დაწამება. ვერ მიცანიო? — მეკითხება. ვიცრუე და ვუთხარი, ვერ ვიცანი-მეთქი. უთუოდ ამ ტყუილმა დამღუპა. რატომ სტყუილი, იმის მაგივრად, პატიოსნად რომ გელიარებინა შენი წარსული დანაშაული, შეცდომაში გინდა შეიყვანო მუშურ-გლეხური მილიცია? აბა, ჰეი, შენ, — უბრძანა მილიციელს, — წამოიყვანეო. წამოიყვანეს. თითონ დამკითხა, ტანტრაბეჩი ვახსოვსო? რადგან ერთხელ ვიუარე, ახლა უკვე აღარ იქნებოდა გამოტეხა: რა ვიცი, სავაჭროში ბევრ რამეს ვყიდდი-მეთქი. ხომ არ ვამეტებ?

— არა, არ ამეტებ, მართალს ლაპარაკობ.

— აბა, ეს მითხარი, რატომ კოჭლობო? მივხვდი, რომ ახლა თავს უკვე ვეღარ და-

ვიძვრენდი. დიახ-მეთქი. ახლა გამახსენდა: ერთ მუშტარს ტანტრაბეჩი მივწოდე. ესაა... კი რატომღაც დაცინვად მიიღო და ამერტყა... ლა ზედ თედოში-მეთქი. ასე არ იყო? ხომ არ ვამეტებ?

— არ ამეტებ, მართალია.

— ჰოდა, მაშინ ასე მითხრა: შენ მარტო მე კი არა, მასხარად აიგდე მთელი ის მეზობლო საზოგადოება, რომელმაც აგერ, ეს ახალი ცხოვრება მოგვიტანაო.

დავეღმიჭე, თავი გავისაცოდავე, მოვისაწყულე, შეუფენებელი, ბრიყვი ვიყავი-მეთქი. იქნებ რამეს ვამეტებ?

— არ ამეტებ, მაგრამ მართალს არ ლაპარაკობ.

— მართალს რას არ ვლაპარაკობ.

— აგრე მაინც არ იყო.

— მაშ, როგორ იყო?

— აღარ მახსოვს, მაგრამ ზუსტად ასე არ იყო.

— მასუკან ახლაც შეხვდით დამეზობლებულნი?

— არა, მანამდეც შეხვდით, — თქვა გიგლამ.

— შორეულში, — დაუმატა ლუტუნისამ.

— თქვენ უფროსი იყავით თქვენს მიერ დაპატიმრებული ამ გაჭირვებული კაცისა?

— არა. თვითონ მოყვება.

— დიახ, ამით არ დამთავრებულა ჩვენი ურთიერთობა. ასე იყო, თუ ისე, მე „ოსომ“ მომისაჯა სამი წელიწადი. კიდევ სამი წელიწადი მომისაჯა, ასევე ჩემდა დაუსწრებლად. ორჯერ სამწლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ, ერთხანს დავბრუნდი სამშობლოში, მერმეთ მიწია კოლექტივიზაციის კომპანია (მხედველობაში მაქვს დაპატიმრებულის კომპანია), თუმცა მე მამაპაპით ქალაქელ კაცს, კოლექტივიზაციისთან რა შესაქმნობა. კვლავაც „ოსომ“ სამი წელი მომისაჯა.

— „ოსოს“ მოსჯა როგორ ხდებოდა?

— ჩვეულებრივად, ამთავრებ სამწლიან სასჯელს, წინაღობით გეძახიან და მოგაწერინებენ ხელს ახალ სამწლიან სასჯელზე. ეს ორ-სამწლიანი პატარა სასჯელი ელასტიურია, მოსახერხებელი, სახელმწიფოს შინაგან და საგარეო მდგომარეობასთან შესაბამისობაში. მაგალითად, ჩემი პატიმრობის მეორე სერიაში არ შეიძლებოდა გამოშვება 1934 წელს, რადგან ეს წელი იყო ბურჟუაზიულ-ფეოდალური გადმონაშთების საბოლოო განადგურების წელი.

განთავისუფლება არ შეიძლებოდა არც ოცდაჩვიდმეტ წელს, რადგან ისიც ტროცკისტული კომპანისის წლად გამოცხადდა. არ შეიძლებოდა ორმოც წელსაც, რაკი სამამულო ომის წინა წელი ვახლდათ. ორმოცდასამი ომის წელი იყო. ორმოცდაექვსი ომის დამთავრების მომდევნო წელი. იმ წელს გამოსულმა ამნისტიამ არ გაათავისუფლა პოლიტპატიმრები და ჩემთვის გასაგები იყო, არც მე გამათავისუფლებდნენ. რიგით მეშვიდე სამწლიანი სასჯელი უნდა მომეხადა. ასეც მოხდა.

— ახლა კი აჭარბებ.


— არა, არ ვაჭარბებ.

— ბოლობოლო, ერთიმეორეს შეხვდით?

— შევხვდით, როცა მეხუთე სამწლიან სასჯელზე ვიჯექი.

— სულ რამდენი სამწლიანი სასჯელი მოიხადე?

— მეთერთმეტე სამწლიან სასჯელზე ვიჯექი, ხრუშჩოვმა რომ გავგათავისუფლა. ჰოდა, მეხუთე სამწლიან სასჯელს ვიხდიდი ჩრდილოეთში, თუ არ ვცდები, ეს ორმოცდაექვსი წელი იყო, ზამთარი. ოცდაჩვიდ-



ნახატი თენგიზ სამსონაძისა

მეტელებს სჯეროდათ, რომ პატიმრობის ერთი წელიწადი რჩებოდათ, მე უფრო თავშეკავებული ვიყავი, რადგან სწორედ ამ წელს მორიგ სამწლიან სასჯელზე მომაწერიანეს ხელი. იმეამად ბანაკში მზარეულად ვცოდვილობდი. და აი, ერთ დღეს დამატებით ულუფას ვარიგებ. თქვენ არ იცით უთუოდ, რაა „დაბავკა“. ესაა წყალწყალა სალაფავი, ქვაბის ნარეცხი, რისთვისაც რიგში დგებოდნენ. ქაფჩით სალაფავს ვუსხამდი „სულთმობრძავებს“, ასე ვეძახდით სიკვდილისპირას მისულ პატიმრებს.

— შიმშილობით, არა?
— დიახ, შიმშილობით...
— ჰოდა, სარკმელში ვილაცამ ქვაბუნა შემოდგა. სალაფავს რომ ვუსხამდი, თვალეებში ჩაახედე და ვიცანი. დაიცა, დაიცამეთქი, მაგრამ ყური არ მიგლო და წავიდა. ჩემთვის გავიფიქრე, კაცი კაცსა ჰგავს, იქნებ შეეცდი?... ის რომ თავს მომარიდებდა, არ გამკვირვებია. არც იმაზე შეეფიქრიათებულვარ, მილიციის უფროსს როგორ დაიჭერდნენ. ოცდაჩვიდმეტში დაჭერილები განა ანტიკომუნისტები იყვნენ? მეორე დღეს გავიკითხ-გამოვიკითხე. ჩვენებურებმა მითხრეს, გუშინწინ პატიმრების ახალი წყება მოვიდაო. იქ ერთი ქართველიაო. ვნახე და გაეშრი. ეს ხომ ისაა, ჩემი დამლუბველი. ვუთხარი, გამარჯობა-მეთქი. რა გინდაო, შემეკითხა. მე ვერ მიცანი-მეთქი. როგორა ხარ, ამ ავარაკზე შენ მაინც რო-

გორ მოხვდი-მეთქი. ეს კი ღუმს. მინდა როგორმე წამოვარჩოქო.

— შენს წინაშე წამოაჩოქო?
— არა, ჰეშმარიტების წინაშე.
— როგორ გაგრძელდა იქ თქვენი ურთიერთობა?

— სწორედ მაგას მოგახსენებთ... მე ვუთხარი, არავის არ ვეტყვი, შენ რომ დამიჭირე-მეთქი. მაგან მიპასუხა, შენი თქმარად უნდა, მე უკვე ვუთხარიო. ახალი მისჯით მე სამი წელიწადი მრჩებოდა, მაგას კი ერთი წელიწადი.

სამზარეულოდან სამუშაოდ თავლაში გადამიყვანეს. ცხენებს ვუვლიდი, ტაიგიდან მოჭრილი ხეები გამოვჭკონდა. ადრეც მემუშავა თავლაში, როგორც ხეიბარს. ეს რომ არა, იქნებ ტაიგაში გავყინულიყავი კიდევ. ტაიგაში ბევრი განზრახი და უნებლიე ხიფათი ხდებოდა ხის ჭრისას. თანაც მძიმე სამუშაო იყო ხის ჭრა, მორჩაბმული ცხენის ტარება კი უფრო მსუბუქი. ყველა ჩვენი ცხენი ნაფრონტალი გახლდათ. ყველას თავისი სახელი ერქვა — ზოგს ბუცევალი, როსინანტი, არწივი, ზოგი კი ალექსანდრე მაკედონელისა და ურარტუს მეფის მენუას ცხენის სახელებით მოენათლათ. ამას ბუცევალი შეხვდა. ხომ ასე იყო?

— ასე იყო!
— შენ ამუშავებდი, მე ვუვლიდი. შენ მორებს ათრევიანებდი, მე ვაჭმევდი, ვასუფთავებდი. დიდი ყინვებისას კოჭლობა დაიწყო ბუცევალი. ეს იმას ნიშნავდა, რომ

ცხენი სამუშაოდ ვერ გავილოდა მუცხეებს საზილად. ამას უნდა აელო ნაჯახი, ცხენი და გასულიყო ხის საჭრელად, რაც საკმაოდ ძალიან მძიმე სამუშაოა. გვყავდა სათადარიგო ცხენები, მაგრამ რატომღაც არ მისცეს, დაელოდნენ ბუცევალის განკურნებას. მაგრამ ბუცევალი არ იკურნებოდა. განვიზრახე, მევარჯიშებინა. თავლაში დამყავდა წალმა-უკულმა. თავლაში ტარებისას ცხენი არ კოჭლობდა. პირველად ეს რომ შევამჩნიე, ამას ვუთხარი. მეორე დღესვე, დილით, სამუშაოდ გასვლისას თავლიდან რომ გაიყვანა, მაშინვე აკოჭლდა. თავლაში დავაბრუნე, გავატარ-გამოვატარე, აღარ კოჭლობდა. იმის წინა დღეს ბუცევალი ვეტექიმმა გასინჯა და თქვა, თითქოს ცხენს არ უნდა ტკიოდეს ფეხიო. პირველმა ამან გამოიძია ბუცევალის კოჭლობის მიზეზი: სიმულიაცია უწოდა. ხომ მართალს ვამბობ, ხომ არაფერს ვამეტებ?

— არაფერს არ ამეტებ. ჰოოო, ბუცევალი მართლაც სიმულიანტობდა.

— შეიქმნა ასეთი აზრი. თუ ბუცევალი მართლაც სტკიოდა ფეხი, მორჩენას დააცდიდნენ. მხოლოდ, თუ დამტკიცდებოდა, რომ ფეხისტკივილს იგონებდა, ის ამ ჩვევას აღარასოდეს აღარ მოიშლიდა.

იმ დღეს, როცა გამოსაცდელად გამყავდა თავლიდან სამუშაოდ, ვეალერსებოდი, ვეუბნებოდი, ვემუდარებოდი, გაიარე-მეთქი, ნუ იკოჭლებ. მინდოდა დამერწმუნებინა, რომ არ უნდა ეკოჭლა, თორემ სიმულიანტობის მუხლს შეუფარდებდნენ და მოკლავდნენ. თავლის ზღურბლს როგორც კი გადააბიჯა, კოჭლობა დაიწყო. მე ცრემლები მომდიოდა, რაკი ცხენი პირუტყვზე მეტ გონებას ავლენდა, რომ კაცურად დაესაჯათ. მე ამას ვუყვირე: შენ ადამიანებს განუკითხავად სჯიდი. ახლა კი ეს ერთადერთი მოაზროვნე ცხენი დაასჯევინი, რომელმაც ამ საშინელ ყინვაში მორების ზიდვას არჩია თავლაში თბილად ყოფნა... ასე არ იყო, რაიმეს ხომ არ ვამეტებ?

— არაფერს არ ამეტებ.

— ისიც ხომ მართალია, რომ შენ დანაშაული ჩაიდინე ბუცევალის წინაშე?

— რატომ... ბუცევალი? — თქვა აბნეულად მწერალმა.

— მე ეს ამბავი იმიტომ მოგიყვიეთ, რომ თქვენ თქვით საამდროვო ამბები აღარააო, ამიტომ ფანტასტიკა უნდა მოგიშველიოთ.

— მერმეთ ეგ ამბავი რა საჭიროა? — იკითხა ლტუტუნია.

— ეს მართალი ამბავია, — უპასუხა გიგლამ.

— მართალია, მაგრამ ვის რაში ჭირდება, — ის მაინც აკვიტებით იმეორებდა. მებუფეტემ გიგლას მიმართა:

— ჩემი ოჯახობა მიმელის, გთხოვთ აქაურობა გაათავისუფლოთ.

აიშალნენ. მწერალმა წარმოთქვა.

— ბუცევალი, თუ ტანტრაბეჩი... ეს სიტყვა ბევრმა არ იცის, რა დავუშალო თავს, დღევანდლამდე არც მე ვიცოდი. ავიდა კიბეზე, ქუჩაში გაჩერდა. თავისთავთან ლაპარაკი განაგრძო:

— ტანტრაბეჩი აჯობებს, თითქოს კაცს ერქვას ზედმეტ სახელად, ბრიყვ, ამაყ კაცს, შემდეგ რომ შესაბრალისი გახდა. თვითონ კი ბოლომდე ბრიყვი დარჩა. კი, კი, ტანტრაბეჩი ზედგამოჭრილია ასეთ კაცზე.



ხელმადლიანი ხელოსანი



აწერილ შვილებზე უღელსკაცს კალისტრატე ვერულაშვილს რვა შვილი ჰყავდა განაწარმული და გზაზე დასაყენებელი.

აქედან ხუთი ვაჟი იყო, სამი — გოგონა. ხელმოკლეობას და ცხოვრებისეულ წინააღმდეგობას არ ეუბნებოდა გამრჩე და თავმოწონე იმერელი კაცი: გადაწყვეტილი ჰქონდა, რვავე შვილისთვის უმალღესი განათლება მიეცა!

დაიბ, ასე ფიქრობდა მრავალშვილიანი ოჯახის მამა, მაგრამ...

მაგრამ მისი თითოეული შვილი სხვანაირად ფიქრობდა და ოცნებობდა, ყველას სხვანაირად წარმოედგინა თავისი პირადი ცხოვრება და მომავალი.

ერთ-ერთმა ვაჟიშვილმა, ჩანსულმა, გადაწყვიტა ქალაქში წასულიყო, რაც შეიძლება მალე ესწავლა ხელობა და თავისი ოფლითა და გარკით მოეპოვებინა საარსებო ლუკმაპური. სურვილი დიდი იყო, მაგრამ ჩვილმეტოდე წლის უწყვეტულ ჭაბუკს მაინც ერიდებოდა მამისთვის გაემხილა ზვანადი.

დიდმა სურვილმა ბოლოს მაინც თავისი გაიტანა და ერთ საღამოს ჩანსულმა გული გადაუშალა მამას.

კალისტრატემ ბევრი იფიქრა, აწონდა დაწონა ყველაფერი, სურვილსა და ჭაბუკს ცხოვრების კიბე არ გადავუტუნო და სულ არ გავუფუჭო ხასიათი, დაასვენა გულში და დაჰყაბულდა.

დაჰყაბულდა და ქუთაისში თვითონვე ჩამოიყვანა ჩანსული და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინა-

ტის საწოლების საამქროს ზეინკალს გრიგორ გიორგაძეს ჩააბარა, რათა ხელმადლიან ოსტატად აღეზარდა.

გამოცდილმა დიდოსტატმა ცხვილივით მიიღო მორიდებული ყმაწვილი, რომელიც ყველაფერს გაფაციცებით აკვირდებოდა და საზეინკლო საიდუმლოს განსაცვიფრებელი ხალისითა და სრულყოფით ითვისებდა!..

ეს ოცდაათი წლის წინათ იყო! დღეს ჩანსულ ვერულაშვილი მთელს ქუთაისში ცნობილი ხელმადლიანი ხელოსანია. მკვლევების ძველ უბანში არსებულ მის სახელოსნოში სულ მუდამ ხალხმრავლობა და ხმაური სუფევს. ამ სახელგაქარაღილ სახელოსნოს მართო ქუთაისელები კი არა, ახლოაზიურ სოფლებიდანაც კი აკითხვენ. ასეა, როცა შორს გაგარდება ხოლმე ოსტატ-ხელოსნის ხელგამომავლობა!!! რა უნდა შეუკვეთონ ისეთი, რომ ის გამოცდილმა ზეინკალმა ვერ დაამზადოს. გულდაწყვეტილმა მოქალაქემ როგორი გატეხილ-დაზიანებული ნივთიც უნდა მიუტანოს, რომელიც მისთვის ღირსახსოვარია და ვერ ეღვევა, ჩანსული ისე დუბრუნებს, რომ ახალს დაამსჯავსებს ხოლმე და ხშირად პატრონი გაოგნებული რჩება — ნუთუ ეს ის არის, რაც ამას წინათ მოვიტანე შესაკეთებლადო.

ხელოსანი მუდამ ღიმილით ხვდება კლიენტებს, გულდასმით მოუსმენს, მიიღებს შეკვეთას, დაათვლიერებს შესაკეთებელ ნივთსა თუ მოწყობილობას და პატრონს იმედით გაისტუმრებს. მაგრამ ტყუილბრალოდ და უახილად არასდროს არავის არაფერს დაჰპირდება!

ეს კარგად იციან კლიენტებმა, ამიტომაც უყვართ და ენდობიან მას.

განსაკუთრებით სამამულლო ომის ვე-

ტრანები ემადლიერებიან. ეს განაგებებიცაა: მათგან განსამრჩელოს არ იღებს! ვეტრანებმა თავი მოიკლეს, რა ძალას არ მიმართეს, რომ ხელმადლიან ხელოსანს საფასური აეღო ჩვეულებისამებრ, მაგრამ ჩანსულმა ააჯაო ქვა და შეუშვარა თავი.

— სანამ ჩემს მარჯვენას რამე შექმდება, ნაომარ კაცს ფულს როგორ გამოვართმევ! — გადაჭრით ამბობს იგი.

ბოლო ხანს ომის ვეტრანებს მრავალშვილიანი ოჯახებიც მიემატა — იმათაც უფასოდ ემხმარებოდა. ამზევც თავისებური აზრი აქვს ჩანსულს.

— ოღონდ ქართველი ვერ გამოვალდეხ, ოღონდ ჩვენს მხარეშია მამრავლდენენ მრავალშვილიანი ოჯახები და ჩემი მარჯვენის ნახელავი დაე მათი პირის სანაცვლო იყოს!

ერთი სიტყვით, ნამუხიანი ხელოსანი ცხოვრების წინა ხაზზეა, თვითონაც ხალხის სურვილებით, მისწრაფებითა და პირ-ვარამით შრომობს. თავისი გულის სითბოსა და კაცურ გავებას განსაქირსი რავარდნილ უცხოხსაც გულწრფელად უფილადებს ხოლმე: ჩერნობილის უბედურება რომ დატრიალდა, უკრანელთა დანმარების ფონდში ჩანსულმა 200 მანეთი გადაიხარჯა.

პატივმა და დაფასებამ თვითონ მიაგნეს ღირსეულს — ჩანსული შრომის წითელი დროშისა და დიდების ორდენების, აჭრეთვე მრავალი მედლის კავალერია.

აი, ასეთი კაცია ერთი ქართული ოჯახის მამა: მეუღლე პედაგოგია, ვაჟმა წარმატებით დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახურიც და ამჟამად სპორტსკოლის მეთოდისტად მუ-

შაობს. დაქმარ შვილიანებული ქალიშვილი ფარმაცევტია, თბილისში ცხოვრობს.

— მადლობა ღმერთსა, რომ სიძვე ჩვენსავით პატროსანი და ჯაფისკაცი შეგვხვდა, — კმაყოფილებით იტყვის ხოლმე ჩანსული, — ისიც მუშაკაცია, დიმიტროვის სახელობის სავაიციო ქარხანაში მუშაობს. იქვე მიიღო ტექნიკური განათლება...

ქუთაისის ერთ მუყდრო უბანში, ბართაშვილის ქუჩაზე ცხოვრობს ხელმადლიანი ხელოსანი. თავისუფალ დროს მხატვრული ლიტერატურის კითხვა უყვარს. არც საყვარელი ქალაქის ქუჩებში სერიანობაზე ამბობს უარს, თუკი საამისო დრო და გუნება-განწყობილება გააჩნია. სწორედ ქუჩაში შემხვედრი ხალხის კეთილი ხალმისა და გამოლაპარაკების მიხედვით უმალ შეინშნავთ, თუ რა ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობს იგი ხალხში.

ასეთი ადამიანები დღეს ყველაზე მეტიდ სჭირდება საქართველოს.

გივი მავისაშვილი



ჩოგბურთი ყველასათვის

ჩოგბურთი ერთობ პოპულარული და ყველა ასაკისთვის შესაფერი სპორტის სახეობაა. ამის თვალსაჩინო მაგალითია 108 წლის ჩინელი ჩოგბურთელი პაკ სუნჩენი, რომელმაც 29 წლის წინ დაიწყო ჩოგბურთის თამაში და დღემდე წარმატებით აგრძელებს.

ლუდი და კიბო

კიბოს საკვლევი საიმპერიო ფონდის გამოკვლევებით კუჭუკანა ჩირკლის სიმსივნით დაავადების საშიშროება ემუქრებათ მათ, ვინც კვირაში ოთხ ლიტრზე მეტ ლუდს სვამს. ამავე დაავადებას იწვევს თამბაქოს წევაც, რის შედეგადაც უკველწლოურად დიდ ბრიტანეთში ექვსი ათასზე მეტი მოქალაქე იღუპება.

რა პერსპექტივაა!

ადამიანს ყოველდღე თავზე 20-დან 80-მდე თმის ღერი სცვივა, — ამას ამტკიცებს ნიუ-იორკელი პროფესორი ბოლკი. და დასძენს, რომ კაცობრიობა თანდათან კარგავს თავზე თმის საფარს და ორასი წლის შემდეგ იგი სრულიად მელოტი გახდება.

აბი სანელა „ნიმედი“

უნგრეთის კოოპერატიული ფირმა „ნიმედი-ინოვამ“ დაიწყო ახალი ანტინიკოტინური აბების სერიული გამოშვება. პრეპარატით დაინტერესდნენ დასავლეთგერმანული ფარმაცევტული ფირმები, რადგან ეს ანტინიკოტინური აბები მწველს თამბაქოსადმი მიდრეკილებას უქვეითებს.

ერთი დღე თამბაქოს მოუშვავლად

ირანის პროვინციის თამბაქოს ერთ-ერთმა კომპანიამ თამბაქოს წევის მავნე ჩვევისაგან თავდაღწევის მიზნით უჩვეულო ღონისძიება ჩატარა. ერთი დღის მანძილზე პროვინციაში არ გაყიდულა თამბაქოს ნაწარმი და არავის მოუწევია იგი.

ბანსაპატიმრებით სანიფათო

კლუფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერი აღფრედ ჰანსტონგი მთელი რიგი გამოკვლევების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თამბაქოს მოწევა განსაკუთრებით ქალაქშია სახიფათო, რადგან ათასგვარი გამოწვევებით ისედაც დაბინძურებული ჰაერი ქიმიურ რეაქტივში შედის აღმოკიდებულ თამბაქოსთან, რის შედეგადაც წარმოიშობა ახალი, ძალზე მავნე და სახიფათო შენაერთები.

ამ ქიმიურ შხამს საუკეთესო ფილტრიც კი ვერ აუვნებლებს და შეუმჩნევლად ისობა მილიონობით ფილტრის უჯრედო.

ფრთხილად, პალსტუნი

დიდი ბრიტანეთის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ პალსტუნი ერთობ უარყოფითად მოქმედებს ადამიანის მხედველობაზე, რადგან კისრის არტერიაზე წეწოლა იწვევს ტვისსა და თვალბში სისხლის დინების შემცირებას, რაც აქვეითებს მხედველობას.

სტარტუმა ბადანერბილი გული

ასე მეტი გულგადანერგილი ადამიანი შეიკრება პოლანდიის ქალაქ მორსაში ჰაერშიაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში (ჩოგბურთი, მორსაში საერთაშორისო სპორტი) მონაწილეობის მისაღებად.

ამ უჩვეულო ტურნირის ორგანი-

1	2	3	4	5
6				
7				
8				
9				

თარაზულად: 1. გარგარის ღიში; 9. ბიბლიოთეკაში; სპეციალური კარ-ტოთეკა, საიდანაც შეიძლება გავება, არის თუ არა ადგილზე ეს თუ ის წიგნი.
შვეულად: 1. საყოველთაოდ აღიარებული გავლენა, მნიშვნელობა; 5. თხრობითი კილო.
დიაგონალურად: (ზევიდან ქვევით, მარცხნიდან მარჯვნივ) 1. ხაციკო პროგრამის ეფექტური ნომერი, რომელიც განსაკუთრებით ბევრ მაუურებელს იზიდავს; 2. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; 3. პატარა მოთხრობა; 4. ვადა-სახალი სახელმწიფოში შეტანილსა და სახელმწიფოდან გატანილ საქონელზე; 6. ქალაქი მდინარე ლენას ხანაპიროზე; 7. დიდი შეჭიბრება, ნიჩბიანი, იალქნი-ანი ან მოტორიანი გემებით; 8. რაიმე გამოცემის ცალკე წიგნი.

შეადგინა ალექსანდრე გორბიშვილმა

მე.პ. ნომერში გამოქვეყნებული ქროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. „ბოგემა“. 4. კასკადი. 7. მაქო. 8. რაში. 10. შნო. 12. რეკვიემი. 13. ამფორა. 15. ტექსელი. 18. მერიმე. 23. კაფე. 24. აქტი. 26. ლიგა. 27. ბარიკადა. 29. აფრა. 30. არტუა. 31. იოდი. 33. ბატუტი. 36. შრე. 37. იორი. 39. სურო. 41. დიბა. 42. როი. 43. ფიქსაცია. 44. რიგა.
შვეულად: 1. ბარდა. 2. „ამო“. 3. აქცენტი. 4. კომიქსი. 5. სტიმული. 6. დონი. 9. შეფი. 11. დრაქმა. 14. მანე. 16. ამბლუა. 17. სამანი. 19. რეგატა. 20. ექო. 21. კობალტი. 22. ჩარხი. 25. იაფეტი. 28. ალბორა-და. 32. ობი. 33. ბელტი. 34. იორკი. 35. ხურო. 36. შოუ. 38. რიფი. 40. ტბა.

პანორამა

ზატორებმა განაცხადეს, რომ „სკორტსმენების“ განმრთელობას არავითარი საშინაოება არ ემუქრება, თუმცა მზადყოფნაში აქვთ სპეციალური სამედიცინო მოწყობილობები და ადგილობრივი საავადმყოფოები.

აღამიანი—ბუ

არავის სჭეროდა, რომ სუანელი ჩან ჩუნი ღამით ისევე ხედავდა ხაგნებს, როგორც დღისით — სინათლეში. ერთ ღამეს სოფელზე ძლიერმა გრიგალმა გადაიარა. ჩინელმა ქაბუკმა უკუნ სიბნელეში ადვილად მიიგნო დაზარალებულებს, უშიშარ ადგილზე გადაიყვანა და პირველა დახმარება აღმოუჩინა. ამ შემთხვევის შემდეგ სპეციალისტები დაინტერესდნენ „აღამიანი — ბუთი“, მაგრამ ვერაფრით ახსნეს ეს უჩვეულო ფენომენი.

არ უნდათ დასვენება

ამომავალი მზის ქვეყნის მკვიდრნი, ჩვეულებრივ, მხოლოდ კვირადღეს იხვენებენ და არ სურთ გაიხანგრძლივონ უიკენდი. ამის გამო რომელმაც კაკაბაძის ხელოვნება

ერთობ შეუფოთებულა იაპონიის შრომის სამინისტრო და ცდილობს დაარწმუნოს იაპონელი მშრომელები, რომ წელიწადში 1800 სა-მუშაო საათი სავსებით საკმარისია ამჟამად არსებული 2150 საათის ნაცვლად. ამისათვის იყენებენ ათას-ჯვარ გადასართობ-პრობაგანდის ტულაქციებს, მაგრამ უშედეგოდ.

სოფიაში „ქართული მიწა“

უღვარული ხალხური მუსიკა ჩამოყალიბდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები სლავური ტომების მუსიკალურ კულტურათა საფუძველზე. XIX საუკუნიდან ვითარდება პროფესიული მუსიკა. მუსიკისმცოდნეები და კომპოზიტორები გაერთიანებულნი არიან ქვეყნის კომპოზიტორთა კავშირში. ბულგარელი მომღერლები კატა გიორგიევა, დიმიტრი უზუნოვი, ნიკოლოზ ნიკოლოვი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ხშირი სტუმრები არიან. ჩემი მეგობარი, რომელთანაც ერთად ვსწავლობდი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, შალიაპინის პრემიის ლაურეატი რევაზ კაკაბაძე პარტიზრობას უწყვეტად გამოჩენილ ბულგარულ ტენორს ნიკოლოზ ნიკოლოვს, რომელმაც კაკაბაძის ხელოვნება

მსოფლიო დონეს შეადარა.

საექტაკლ „ტრუბადურის“ შემდეგ მან თქვა: „ახეთი პარტიზორი“ იშვიათად შემხვედრია, ახეთი ბარიტონი ნებისმიერი ქვეყნის საოპერო თეატრის სცენას დაამშვენებდაო“. შემდეგ გადაეხვია და გულში ჩაიკრა. სოფიაში პროექტი უკვე მზად არის და იხსნება ქართული კულტურის ცენტრი, რომელსაც ეწოდება „ქართული მიწა სოფიაში“. ამ ამბავმა მთელი ქართული საზოგადოებრიობა აღაფრთოვანა. ბულგარეთის უმშვენიერეს მთიანეთში, მაშინდელ „ქართულ მიწაზე“ აგებულ პეტრიწონის მონასტერში ხომ ძალუშად ჩქვდა ქართველთა სიცოცხლე და დღესაც სიამაყით, მოწიწებით ვადგამთ ფეხს წინაპართაგან გამშობლიურებულ მიწას.


ახლა ბულგარეთში კიდევ ერთი მცირე ნაკვეთი გაჩნდება ქართული მიწისა, რომლის ადგილსამყოფელია სოფია, სერლიკისა და მეფე სიმონის ქუჩების კუთხე. ამაში ნათლად გამოს-ქვევის ბულგარელი ხალხის დიდი სიყვარული ქართველი ხალხის მიმართ. მეამაყება „ქართული მიწის“ დაბადება მეგობარ ქვეყანაში.

ოთარ ფირცხალავა,


საპარტიზო კროფსაბროს მხატვრული თვითმომამადების რესპუბლიკური სახლის მუსიკალური განყოფილების მეთოდისტი.



სურათში: თბილისელ ტურისტთა ერთი ჯგუფი სოფიის მონასტერში „წმინდა გიორგის ტაძართან“.



მკურნალობისას და საკმაოდ გრძელია იმ დაავადებების სია, სადაც მკურნალობის ეს მეთოდები, ამ კუთხით დასავლეთ ევროპაში ხოლო 15-20 წლის მანძილზე მრავალი ფუნდამენტური შრომა გამოვიდა. ერთ-ერთი მეცნიერი დ. ნისენი თავის ნაშრომში „მხედარი და ცხენის ლექსიკონი“ აღნიშნავს, რომ სამკურნალო ცხენოსნობა — ეს სენსომოტორული ვარჯიშის განსაკუთრებული ფორმაა, რომელიც ჯერ კიდევ 1904 წელს იყო აღმოჩენილი გერმანელი ნეიროქირურგის ო. ფორსტერის მიერ. მეტად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თავის დროზე ფორსტერის პაციენტი ყოფილა ვ. ი. ლენინიც, რომელსაც 1920 წელს დამბლა განუვითარდა. ფორსტერი ემყარებოდა საკუთარ გამოცდილებას და სამკურნალო ცხენოსნობის მეთოდი წარმატებით გამოიყენა ლენინის მკურნალობისას. ამგვარად, ლენინი პირველი პაციენტი იყო ჩვენს ქვეყანაში, რომლის მკურნალობის კომპლექსში სამკურნალო ცხენოსნობას ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეჭირა. სხვათა შორის,



ლიტო წვირაპა

სხენი მკურნალო

უსოვარი დროიდან მოყოლებული ცხენი ადამიანის ერთგული მეგობარი იყო. თუმცა ეს უკანასკნელი ხშირად ცოდავდა და სასტიკადაც კი მოპყრობია ამ კეთილშობილურ არსებას. გავიხსენოთ თუნდაც ხრუშჩოვის პერიოდი, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ცხენის არნახული ღვეწა გამოცხადდა და მისი მასობრივი მოსპობა დაიწყო. სწორედ ამ კამპანიამ იმსხვერპლა ჩვენი რესპუბლიკის მუხროვანის ცნობილი ცხენსაშენი, რომელიც წმინდა სისხლის ცხენებს ამრავლებდა. სპორტსმენობის პერიოდში ბედნიერება მქონდა, მეგობარჯიშა სწორედ ამ ცხენსაშენში გამოიყენებოდა ფაშატზე „იბერია“, რომელსაც ბრწყინვალე ექსტერიერი ჰქონდა და თავისი დიდი, მსუბუქი ნახტომებით არა ერთხელ გაუკვირებია საკავშირო პირველობათა სპეციალისტები და მრავალრიცხოვანი მყურებელი.

მსოფლიოში დღეისათვის 250 ცხენის ჯიშია აღრიცხული. ძველად ქართული ჯიშის არსებობდა, რომელმაც ასიმილირება განიცადა ნაწილობრივ სპარსულ, ხოლო შემდგომში არაბულ ჯიშებთან. ამგვარად, არაბული ჯიშის სელექციაში ქართულ ჯიშის ცხენსაც უნდა ჰქონდეს თავისი წვლილი. რაც შეეხება ინგლისური ჯიშის ცხენს, იგი არაბულის საფუძველზეა გამოყვანილი და აღიარებულია როგორც ყველაზე სრულყოფილი.

მიუხედავად ამისა, თავისი სილამაზით, ელეგანტურობით, ტემპერამენტით, გამძლეობითა და ერთგულებით არაბული ცხენი უნიკალურია. ტყუილად როდი ეძახიან მას „არისტოკრატს“. და აი, 1981 წლის საერთაშორისო აუქციონი...

— იყიდება ქურანა ულაყი „პენსიარი“, დაბადებული 1975 წელს, „ნარბეგისა“ და „პენსიას“ შვილი „მომღერალი გულით“. კეთილი, ჭკვიანი და ყოვლისგამგები თვალებით!

მოედანი გაინაბა.
— 600 ათასი დოლარი! ერთი... ორი...
— 800 ათასი დოლარი! ერთი...
და გაისმა ახალი ფასი — მილიონი დოლარი, რამაც შეწყვიტა აუქციონერთა დავა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიყიდა „ცხენების პრეზიდენტი“, როგორც მას უწოდებდნენ „თერგის“ ცხენსაშენში.

1985 წლის აუქციონი... ისევ სენსაცია: „ოქროს ცხენად“ აღიარეს ჟურნალისტებმა ამავე ცხენსაშენის მუქ-ქალაქი ფერის ულაყი „პელანგა“, რომელიც ერთ-ერთმა ამერიკულმა ფირმამ შეისყიდა 2 მილიონ 350 ათას დოლარად!

ასეთია ელიტად წოდებული არაბული ჯიშის ცხენის ფასები, რომლის შექმნასაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

მაგრამ ცხენის ფასი კიდევ უფრო დიდი, ვინაიდან იგი არა მარტო ადამიანის მეგობარია, არამედ მისი მკურნალიც. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში მედიცინის მამად წოდებული ასკლეპიუსი (ესკულაპი) რიგი დაავადებების დროს ფართოდ იყენებდა ცხენზე ჯდომას, როგორც სამკურნალო საშუალებას. დღეისათვის შემონახულია ესკულაპიუსის რეცეპტი ნევროზით შეპყრობილთათვის: ფეხშიშველა სიარული, ცივი შხაპი, ცხენზე ჯდომა.


დიახ, ცხენზე ჯდომით მკურნალობა, ანუ სამკურნალო ცხენოსნობა — რაიტთერაპია, პიპოთერაპია (როგორც მას ევროპაში უწოდებენ) უნიკალური მეთოდია არამედიაქმენტური ფიზიკური საშუალებებით

რის, იმავე პერიოდში წარმატებით გამოიყენებოდა სამკურნალო ცხენოსნობა ტემპლინის (გერმანია) ყრუ-მუნჯ ბავშვთა სკოლაში.

იქიდან მოკიდებული სამკურნალო ცხენოსნობის მეთოდი თანდათან ვითარდებოდა და მედიცინაში ამ აქტუალურ პრობლემას რამდენიმე საერთაშორისო კონგრესი მიეძღვნა: 1974 წელი — პარიზი, თემა „ცხენოსნობა, როგორც ფიზიკური რეაბილიტაციის საშუალება“. 1976 წელი — ბაზელი (შვეიცარია), თემა „სამკურნალო ცხენოსნობა“. 1979 წელი — ბარვიცი (დიდი ბრიტანეთი), თემა „რაიტთერაპიისათვის ცხენის შერჩევის პრობლემები“. 1982 წელი — ჰამბურგი (გფრ), თემა „სამკურნალო ცხენოსნობის პრობლემები“. 1985 წელი — მილანი (იტალია)... სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ექიმებს არც ერთ კონგრესზე არ მიუღიათ მონაწილეობა.

მეცნიერებმა დაასაბუთეს, რომ სამკურნალო ცხენოსნობა მრავალმხრივ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. უკვე დადასტურებულია: ცხენის ზურგზე აღინიშნება სამგანზომილებიანი რჩევა, რომელიც ემთხვევა ადამიანის სიარულს და ჰემიპლეგიით დაავადებული კუნთური სისტემა შეიძლება შეუთავსო სიარულის ტიპს. კერძოდ, ცხენის თითოეული ნაბიჯის გადადგმისას მენჯის გვერდზე გადახრა წარმოებს 5 სანტიმეტრით, ხოლო მენჯის ბრუნვა ორივე მხრივ 8 გრადუსით.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ მხე-



რანტობა, ანუ ამტანიანობა ფიზიკური დატვირთვების მიმართ ცხენზე ჯდომის ტრენინგებში უფრო მაღალია, ვიდრე ისეთი ფიზიკური დატვირთვისას, როგორცაა სიარული ტრენინგებზე ან ველოერგომეტრული დატვირთვა. ეს თითქოსდა პარადოქსული ფაქტი ფრიად მნიშვნელოვანია და გულს-სხმობს იმას, რომ ცხენზე ჯდომის დროს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დატვირთვა უფრო დაზოგვითია. ეს ის ერთ-ერთი ფაქტორთაგანია სხვა მრავალთა შორის, რომელიც საფუძვლად დაედო რაიტთერაპიის გამოყენებას ინფარქტგადამტანილ ავადმყოფებში ფიზიკური რეაბილიტაციის მეორე და მესამე ფაზებში.

პროფესორ ც. ჩხიკვიშვილის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მის მიერ აღმოჩენილი დიდი სამკურნალო ეფექტი, რომელიც მიიღება რაიტთერაპიით ბავშვთა ცერებრალური დამბლების ჰიპერკინეზული ფორმის დროს.

ც. ჩხიკვიშვილის აზრით, სწორედ ამ ორი კომპონენტის შერწყმა: ერთი — ცხენზე ჯდომის დიდი სურვილი და მეორე — ცხენიდან ჩამოვარდნის შიში — იძლევა იმ სასურველ შედეგს, რისთვისაც ტარდება ასეთ შემთხვევაში რაიტთერაპია. პაციენტი იძულებულია, მაქსიმალურად გაამახვილოს ყურადღება იმ მოძრაობების მიმართ, რომელიც შეუნარჩუნებს ცხენზე ჯდომას.

ამრიგად, სამკურნალო ცხენოსნობას — რაიტთერაპიას — გააჩნია სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალებების ამოუწურავი შესაძლებლობანი, რასაც დიდა მნიშვნელობა აქვს მედიცინაში, როგორც არასტანდარტული მკურნალობის უნიკალურ მეთოდს.

ალბათ, მალე დადგება ის დრო, როდესაც აუქციონზე გამოყვანილი ცხენის ფასს განსაზღვრავს არა მარტო მისი ექსტერიერი და გენეალოგია, არამედ მისი სამკურნალო თვისებებიც: ამა თუ იმ ცხენმა რამდენი და რა დაავადებებით შეპყრობილი ადამიანი განკურნა!

განა ექნება ამისთანა ცხენს ფასი?!
მაშ ასე, 1990 წელი ცხენის წელიწადია და ყველა ის მადლი, რაც ამ კეთილშობილურმა არსებამ შეიძლება ადამიანს მიუძღვნას, დროულად და სრულად გამოვიყენოთ.

დრის გულის ცემის სიხშირე ნაბიჯის დროს 120 დარტყმა წუთში, ჩორთისას — 140, ხოლო ნავარდზე გადასვლისას კი 180. ცხენზე ჯდომის დროს სუნთქვის რეგულირება ხდება ცხენის რიტმული მოძრაობით. ცხენზე ჯდომა არეგულირებს კუჭის შეკუმშვას და ნაწლავების პერისტალტიკას. ცხენის სხეულის ტემპერატურა 1 გრადუსით მაღალია ადამიანის სხეულის ტემპერატურაზე, რაც დადებით გავლენას ახდენს მხედრის მუსკულატურაზე ფიზიკური დატვირთვის დროს.

როგორც ცნობილია, ცხენზე ჯდომისას (ნაბიჯი, ალური, ჩორთი, ნავარდი) მხედრის ხერხემალზე წარმოიშევა რხევები. ჩატარებულმა გამოკვლევებმა (გაზომვებმა) დაადასტურეს, რომ თვით ხანგრძლივი ვარჯიშის დროსაც კი მხედრის ხერხემალის ვიბრაციულ დაზიანებებს არა აქვს ადგილი. პირიქით, არსებული რხევები მოქმედებენ ზურგის გამშლელ კუნთებზე და ხელს უწყობენ, შეიქმნას ძლიერი კუნთური კორსეტი, რომელიც ოსტეოქონდროზის პროფილაქტიკაში დიდად მნიშვნელოვანია. რაიტთერაპიის დროს საკმაოდ მაღალია ფსიქიკური ეფექტი: მხედრის ყურადღება მთლიანად მიმართულია იქითკენ, რომ არ გადმოვარდეს ცხენიდან და თავის ნებაზე მართოს იგი, რაც ადამიანს ავიწყებს სხვა საჭირობოროტო პრობლემებს და ათავისუფლებს დაძაბვისა და შეზოკვისაგან.

1960 წლიდან მოყოლებული საოცრად ფართოვდება რაიტთერაპიით მკურნალობის სპექტრი: გულ-სისხლძარღვთა დაავადებები (ჰიპერტონია, იშემიური დაავადება, ინფარქტის შემდგომი პერიოდი), კუჭ-ნაწლავის ქრონიკული დაავადებანი, უროლოგიური დაავადებანი, ქირურგიული

(ოპერაციის შემდგომ პერიოდში), ნევროზები, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებები, განსაკუთრებით ტანდროზის დარღვევა და სქოლიოზების ზოგიერთი ფორმები, ბავშვთა ცერებრალური ოსტეოქონდროზი, ფსიქიური დაავადებები და სხვა... დღეისათვის 700-მდე ლიტერატურული წყარო მოიპოვება ცხენით მკურნალობასთან დაკავშირებით.

ბოლო წლებში მედიცინამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ინფარქტის მკურნალობაში, რაც შესაძლებელი გახდა ფიზიკური რეაბილიტაციის დანერგვით ავადმყოფის ეტაპურ მკურნალობაში. აქ უდაოდ დიდია სამკურნალო ფიზიკულტურის ხვედრითი წონა, რომლის ახალი ფორმაც რაიტთერაპიაა. დადგენილია, რომ ტოლ-





185/54

ჩემს წინ უამრავი ფოტოა. მშვენიერი ვაჟკაცი, სავსე ქართული პატიოსნებით, ჭკვიანი, ლამაზი თვალებით და ძალიან ნაცნობი მზერით. მე ვიცნობ ამ ფოტოებს, ვიცნობდი ამ ახალგაზრდა კაცს. თუმცა მას ხომ თითქმის მთელი საქართველო იცნობდა.

ახლა ამ ოთახში სიჩუმეა. აქ მხოლოდ მისი სული ტრიალებს — ყველა ჩუმად ლაპარაკობს, ყველაზე პატარა ჭავჭავაძე, პაწია ქეთიცი კი...

— ქეთის ძალიან სტიკია უმამობა, გუშინ იმდენი იტირა, კინალამ გავგვიყიდი. მთელი დღე ვამშვიდებდი, — ჩუმად მეუბნება ნანა, შავკაბიანი ახალგაზრდა ქალი, ზურაბ ჭავჭავაძის ქვრივი. — უფროსი გოგონები მამაზე თითქმის არ ლაპარაკობენ, ყოველ შემთხვევაში, ჩემთან.

ქალს ხმა უთრთის, ცდილობს წყნარად ისაუბროს, მაგრამ ვერ ანერხებს, თვალები ამხელენ. ისინი ძალიან ახალგაზრდანი შეუღლდნენ. თბილისის უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე ერთად სწავლობდნენ. იქ დაიწყო მშვენიერი სიყვარული, რომელიც შემდეგ ამ ლამაზი, მტკიცე ოჯახის საძირკველი გახდა. ამ სიყვარულმა სამი ასული აჩუქა ჭავჭავაძეთა ძირძველ გვარს.

ვზივარ ამ მოწყენილ ოთახში ახალგაზრდა ქვრივის გვერდით და ვისმენ მის საუბარს:

— როგორ უნდოდა ვაჟი გვეყოლოდა, ეს მისი ოცნება იყო, ვერ მოესწრო. ყველაზე დიდი და წმინდა ოცნება საქართველოს თავისუფლება იყო. ვერც ამ დღეს მოესწრო. მე შინაგანად ახლაც არ მჯერა ზურას დაღუპვა, არ მჯერა, რომ მე მისი ქვრივი ვარ. ბავშვებს კი ობლები ჰქვიათ. არ მჯერა, რადგან არ შეიძლება ის ასე ჩვეულებრივად დაღუპულიყო, მან ხომ ყველაფერი უჩვეულო, არაჩვეულებრივი იცოდა...

არ დაიჯეროთ რომ

კლარა ვარ...

ელოდება ქმარს ცოლი. გიტყვით, მოთმინებით ელოდება. თვალებს მარილებს, მაგრამ მაინც ვხედავ, როგორ მოგორავენ მსხვილი ცრემლები მის ფერმკრთალ ლოყაზე.

— ბოლო ერთი კვირა ბავშვის საწოლს არ მოსცილებია, უფროსი გოგონა, ეკა გვეყავდა ავად. შინიდან არ გასულა. ასეთი მოყვარული მამა იყო. თვითონაც შეუძლოდ გრძნობდა თავს იმ დაწყევლილ დღეს, მაგრამ წაუსვლელობა არ შეიძლებოდა, მითხრა. წასვლის წინაც ექიმთან შეველო და ბავშვის ამბავი გავეგო. რომ უთქვამთ ეკას არაფერი უჭირსო, სახე ერთბაშად განათებია. კიდევ კარგი, დამშვიდდა და ისე წავიდა, სიყრმის შვილის დარდი მაინც არ წაიყოლა უკანასკნელ გზაზე.

... ზურა ოჯახში არასოდეს ლაპარაკობდა პოლიტიკაზე, თუ დამიჯერებთ, მე არაფერი ვიცოდი მის პოლიტიკურ საქმიანობაზე. პოლიტიკაში ყველა არ უნდა ერეოდეს, მით უფრო ოჯახის ქალებით. ჰოდა, არც ვერეოდი. შინაც უამრავი საქმე მქონდა, სამი შვილი, სამსახური. ზურას არ ვაწუხებდი. ვიცოდი, როგორი გადამკვდარი იყო საქმეზე. შინ შუალამისას მოდიოდა, დაღლილი, მაგრამ გულგახსნილი, იუმორის ნიჭით დაჯილდოვებული, საოცრად გულისხმიერი და ტაქტიანი. საოცრად უყვარდა მამა, როცა ცუდ სიზმარს ნახავდა, მუდამ მისკენ მიიჩქაროდა, ცუდად ხომ არ

არისო. განსაკუთრებით ზრუნავდა დედაზე, დაიკო კი შვილივით უყვარდა, ელოლიაგებოდა. წასვლის წინა დღეს საშინელი სიზმარი უნახავს, არც კი მიაბზო. მაგრამ ვაი, რომ აუხდა, თან როგორ!

— ერთხელ აგარაკზე ვისვენებდით. ზურამ ჩამოგვაკითხა. გვერდით უმამოდ გაზრდილი ბავშვი ისვენებდა. როცა ზურა ჩამოვიდა, შვილები უვილ-ხივილით შემოეხვივნენ. მან რატომღაც ცივად მოიცოლა ისინი და შინ შემოსვლისას უსაყვადღურა: არ გრცხვენიათ, იმ ბავშვს ხომ მამა არა ჰყავს და გული ეტკინებოდა, რომ ასე შემხვდითო...

ამნაირი იყო. ყველას მიმართ გულმოწყალე, ლობიერი, კეთილი. ბავშვებს არასდროს უბრაზდებოდა. ისე ელაპარაკებოდა, როგორც ტოლებს. განსაკუთრებით უფროს გოგონას, ეკას, შუათანას მამის იუმორი გამოჰყვავდა და მისი მოხდენილი, მარილიანი სიტყვაპასუხი ახალისებდა...

...ჩემი დიდი ნუგეში ახლა ის არის, რომ ის თავის აღდგენილ ეკლესიაშია დაკრძალული. თითქოს გული უგრძნობდა, ისე ჩქარობდა, მის აღდგენას. უყვარდა კახეთი, განსაკუთრებით ყვარელი. სახლი არ გვექონდა, ჩამოგვართვეს. უზარმაზარი ენერჯია და პატიების ნიჭი გააჩნდა. სულთ ხორცამდე ქრისტიანი იყო. მისი საყვარელი საკითხავი სახარება ყველა ენაზე გვაქვს სახლში...

ოთახში ზურაბ ჭავჭავაძის

თანამოაზრენი შემოვიდნენ. ვახტანგ ძაბირაძე ქადაგებდა აბუანადზე, ილია... საზოგადოების გამგეობის წევრები. მათაც ვთხოვე, ორიოდ სიტყვით გაესხენებინათ მეგობარი:

— ზურაბს არ შეეძლო ადამიანის სიძულვილი, იგი მუდამ ცდილობდა მოწინააღმდეგე დაერწმუნებინა, — ეს ვახტანგმა თქვა. — თუ სადმე საფრთხეს იგრძნობდა, პირველად თვითონ მიდიოდა.

— ღინჯი, საინტერესო მთხრობელი გახლდათ, — საუბარში ჩაერია ანზორი. — მის მიმართ სასიკეთოდ განგაფიცოდა, თუნდაც მისი აზრის მოწინააღმდეგე ყოფილიყავი.

დადუმებულა ბინა მუდამ ხმაურისანი, სტუმრებით, საინტერესო მოსაუბრეებით, სიცილით, მუსიკით სავსე. ყოველი მხრიდან მისი თვალები შემოგცქერიან, გამშვიდებენ, გამხნევენ, გილიმიან, წუთით გავიწყებენ, რომ აღარ არის მისი ლამაზი სიცოცხლე. მაგრამ ეს მხოლოდ წუთით! მერე კი მოდის ტკივილი და სინანული იმის გამო, რომ საქართველომ ასეთი ღირსეული, სულით ხორცამდე შემკული შვილი დაკარგა.

— ახლა ზურას ნაცვლად ბატონი ნიკო ჭავჭავაძე ამოგვიდგა მხარში. ის აგრძელებს შვილის საქმეს, — თითქოს თავისთვის ამბობს ერთ-ერთი მოსაუბრე. ზურას სიცოცხლეს კი მისი მშვენიერი გოგონები აგრძელებენ. ნათქვამია, სანამ ხსოვნა ცოცხლობს, ადამიანიც ცოცხალიაო. ზურა კი მუდამ ცოცხალია მისი ოჯახისათვის, მეგობრებისათვის, მისი სათაყვანო საქართველოსათვის.

ტყუილად ამბობენ, ვინც მოკვდა თავის თავს მოუკვდაო...

ზურაბ ჭავჭავაძე მთელ საქართველოს მოუკვდა.

ირინე კუპავა

გარეკანის პირველ გვერდზე: შხსანდომბარი. გარეკანის მეოთხე გვერდზე: მძებნის სამრეკლო. ფოტოები ბონდო დვალისფილისა. ჩანართის პირველ გვერდზე: ძველი თბილისი. ფოტო ბონდო დაღვაძისა. ჩანართის მეოთხე გვერდზე: ჯმარი. ფოტო ელდარ გიგიაშვილისა.

ვადაცა წარმოებას 28.02.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.04.90. უე 07923. ქალაქის ზომა 70x108¹/₈. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბანი 5,69. ტირაჟი 54500. შეკვეთა 468. ფასი 35 კაპ. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგებების — 93-28-42, 99-01-89, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66. რედაქციაში შემოსული მასალა ავტომატურად უბრუნდება.



ზურაბ ჭავჭავაძე თავის სათაყვანო კოლ-შვილთან.

ხსოვნა



გამოთხოვება ზურაბ ჭავჭავაძესთან

885/84

ინფორმაცია 760
ეკონომიკური
სისტემების

